

25

ცხოვრება

ორკვირული სამეცნიერო, სა-
ლიტერატურო და საპოლიტიკო
ჟურნალი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ქართველთა შორის წერა-კით. გამგე-
სახოგ. გამგეობის მოწოდება.
2. დევნილები, პოემა, ობოლი მუშისა.
3. ჩემს სატრფოს, ლექსი, ი. სიხარული-
ძისა.
4. თაიგული, ლექსი, ბახისა.
5. ქრისტე აღსდგა, ლექსი, კ. მიმქრალისა.
6. ტურფას, ლექსი, მინა რაჭველისა.
7. * *, ლექსი, ობოლი მწყემსისა.
8. მკვლელობა, გ. ალისა.
9. ქუჩაში, ლექსი, ხ. ვარდოშვილისა.
10. მამლები, რ. საჯავახოვლისა.
11. Pose, ლექსი, სანდრო მეგრელისა.
12. საყურათღებო ამბავი.
13. ბატ. ლუკა ბახტაძის წერილების გა-
მო, თავ-თეთრისა.
14. „გზა სტუდენტებისა“, ს. ნინაშვილისა.
15. ფელეტონი, დრამატული საზოგადო-
ების ერთი წევრთაგანისა.
16. ბატ. გ. მ. თუმანიშვილის ლექციები
ა. ლ. შანიავსკის უნივერსიტეტში.
17. ქართული პრესა.
18. „პაიკარი“ საქალაქო არჩევნების შესა-
ხებ.
19. ტრაპიზონი.
20. მოწოდება, პ. ოხრობეთელისა.
21. მცირე შენიშვნა, დეკ. ი. წერეთლისა.
22. ახალი წიგნის განცხადება.
23. „ცხოვრების“ ფოსტა.

15 აპრილი.

1916 წ.

ა უ თ ა ი ს ი

სტამბა „მობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარეკოვისა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წელს

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„**სსოპრეზა-ზე**“

რომელიც გამოვა ორ კვირაში, ერთხელ რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით.

ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ. წლიურათ ჟურნალი ეღირება 5 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 10 შ., თვიურათ 10 შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ.

ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოდ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), გორში—ალექსანდრე რამანიშვილთან, ჭიათურაში—პლატონ კილასონიასთან, სამტრედიიაში—მინა კობალეიშვილთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, საჩხერეში—სიმონ გაჩეჩილაძესთან, ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან და პეტროგრადში—ალექსანდრე არაბიძესთან...

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Паничава.

საპოლიტიკო, სალიტერატურო, ყოველდღიური გაზეთი

„**მეგობარი**“

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისთვის.

წელიწადში ღირს 9 მან., ნახევარი წლით—5 მან.. სამი თვით—2 მ. 3 აბაზი., თვეში—18 შაური, ცალკე ნუმერი ყველგან—შაურათ.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ ნაწილათ: ხელის მოწერის დროს—3 მან. ნახევარი, 1 აპრილს—3 მან., 1 აგვისტოს 2 მან. ნახევარი.

ნახევარი წლის ხელის მომწერლებს შეუძლიათ ორ ნაწილათ შემოიტანონ ფული: პირველათ—3 მან., 1 აპრილს—2 მან.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიათ

გ. მანიშვილის ნაწერების კრებულს.

სსოპრეზა

№ 8. 15 აპრილი.
1916 წ.

ორგანიზაციული საპროლეტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

ქართულთა შორის წერა-კითხვის გა-
მაგრებელ საზოგადოების გაძევების
მოწოდება.

ახლანდელი ომის დროს საერთო სამშობლოს დასაცავათ პატარა საქართველო გზავნის ბძოლის ველზე ათასობითა და ათი ათასობით თავის შვილებს.

რუსეთის მოქალაქეთა სისხლის ღირსი რწყავს ბძოლის ველს რავდენსამე ათასის ვერსის სივრცეზე, შორეული ჩდილოეთიდან დაწყებული, ტიგრისა და ეფრატის ნაპირებამდე. და ამ ბუმბერაზულს ბძოლაში ჩვენი შვილები, ქართველები, რუსეთის დანარჩენ ერებთან ერთად, გმირულათ ებძვიან მტერს დიდის სამშობლო კერის დასაცავათ.

დიდება გმირთ, რომელნიც გადაუჩევიან ამ საშინელს ომს, მათთვის, რასაკვირველია, მთავრობა იზრუნებს.

მარა დიდება მათაც, რომელთაც გმი რულათ დადგეს თავი სამშობლოს კეთილ-დღეობისთვის. მათი ნეშტნი შემოგვალადებენ ჩვენ და ბეჯითად მოითხოვენ საზოგადოების ყურათღებას.

ბევრს დაღუპულს მებძოლს ელირსა დაკრძალვა სამშობლო მხარეში, შესაფერის პატივისცემით. მახლობელთა კრემლით მოირწყო მათი საფლავი, მარა ბევრს ვერც ეს უკანანასკნელი ნუგეში ხვდა. მათი ძვლები გაფანტულია სპარსეთისა და ოსმალეთის უცნობს მთახევეებში, პოლონეთ-ლიტვის მიდგრებზე და კარპატის მთებზე; მათი სახელი უნდა აღინიშნოს ჩვენს ისტორიაში. ჩვენ ვალდებულნი ვართ საუკუნო ხსენება შევუთვალოთ მათ.

ქართველნო! ნუ დაგივიწყებთ მამა-პაპათაგან ნაანდერძვე კეთილშობილურ ადათს. შევერთდეთ ერთი გძობით, რო ღირსეულათ აღვნიშნოთ სახელი ჩვენი ძმებისა, რომელთაც

დაღვარეს სისხლი სამშობლოსთვის, და დავუდგათ მათ ძეგლი, რომელიც გაახსენებს ჩვენ შვილებს, რო თანამედროენი დიდათ აფასებენ მოძმეთა ღვაწლს და მათ ქველობაზე აშენებენ თავიანთ-მომავალ ბედნიერებას.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ, სხვათა შორის, დაისახა მიზნათ, როგორც ერთი აღმზღელობით, საშვალეებათაგანი გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა საეანე პანთეონის მოწყობა. და ამ მიზნით შეიძინა თფილისში, ისტორიულის დიდუბის ეკლესიის გალავანში, ადგილი. რა თქმა უნდა, სწორეთ აქ უნდა დაეთმოს ადგილი სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისთვის თავდადებულ გმირთა მარად მოსაგონებელ ძეგლს, თუნდ უბრალოს გარეგნობით, მარა განძრახულობით-კი დიდს.

მისმა იმპერატორობითმა უმადლესობამ, უავუსტოესმა კავკასიის მეფის ნაცვალმა, ამ ავტრიტეტულმა დამფასებელმა გმირთა ღვაწლისა, კეთილ ინება და დაადანტურა ძეგლის აგების აზრი.

ამ ძეგლის გარეგან მხარეს შეიმუშავებენ ჩვენი სპეციალისტები, ხოლო სიდიდე დამოკიდებულია იმ საშვალეებზე, რომელიც შეგროვდება თანამგძობთა მიერ შემოწირვით.

ამასთან სავალდებულოა აღნიშნულ იქნას წოდება, სახელი და გვარი ყველა იმ ქართველთა, რომელთაც დასდგეს თავი რუსეთისა და სამშობლოს დიდებისთვის დღეინდელ ომის განმავლობაში.

წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა მიმართავს ყველა იმ პირთ, რომელნიც თანაუგძობენ შემოაღნიშნულ კეთილ მიზანს, განსაკუთრებით დაღუპულთ გმირთა ოჯახებს, გამოიღონ წვლილი ამ დიადი საქმისთვის-შეძლებისამებ.

დაღუპულთ გმირთა სიის სისწორით შესადგენად საზოგადოების გამგეობა იწვევს გარდაცვლილთა მშობლებს და ნათესავებს, მოაწო-

დონ წ. კ. საზ. კანცელარიას (სასახლის ქ. № 5. თფილისში), თავიანთ შემოწირულებასთან ერთად აგრეთვე ბძოლის ველზე მოკლულთა და ქრილობათაგან გარდაცვლილთა სია, წოდებისა და სამსახურის ადგილის აღნიშვნით.

დიდება სამშობლოს კეთილდღეობისთვის თავგანწირულთ!

დეკნილები.*)

თავი მართხი.

I.

ფთა გაშლილმა დილის სიომ
ტყის ფოთლებში გაიქროლა,
მიახარა განთადი,
ვამბორა... ათრთოლა;
აშრილდენ... მოსწყდათ ცრემლნი,
მოსწყდათ ცრემლი აღმასისა
და მწვანე მოღს დაეკურა
ყელ-საკიდათ ნამი ცისა.
ოქროს სხივით მთის მწვევრავლი
თვალწარმტაცათ მოიქარგა;
ბურუს-ჯანლი ფერ-გამკრთალი
ხევში ჩადნა, ჩაიკარგა.
ტყის სიღრმეში ფრინველები
ჭიკჭიკობენ, ფთქიალობენ,
შეხარიან დღის სინათლეს
და მხეს ქებას უგალობენ.
ზვირთ-ანკარა მარდი დელე
ხევში ჩარბის ლიკლიკითა,
თეთრი ნისლი ვადუბურავს
თავის ცვლქი შეხფებითა.
მთის ფერდობზე, წიფლნარ ტყეში
დგას კარავი ღარიბული,
შეჯორგვილი ზეგბითა,
ლომის ჩალით დახურული.
მასში ცხოვრობს შალვას რაზმი,
შვიდი ყრმა თავ-განწირული:
იქ არს მათი მყუდრო ბინა,
მტრის თვალთაგან დაფარული

*) იხ. „ცხორება“, № 7.

ავერ, მაღალ წიფლის ძირში
ზის შალიკო თავ-დახრილი,
და აღერსით თავს ევლება
კაემნაანს სიო გრილი...

ავერ, გოგიც გამოვიდა,
შალვას ტკბილათ ეუბნება:

— რაზე ფიქრობ, ჩემო კარგო?
სად დაგაფრენს რა ოცნება?

— ოჰ, გიორგი, რაღაც მწარე,
მწარე სეედა არ მშორდება,
თითქო რაღაც წინათ გძნობა
გულში შხამათ მიგუბდება...

— რატო, ძმაო, რა მოვიდე?
ან დღეს ეგ, ვით გეკადრება?

დღეს, ხომ იცი, ჩვენი ბედი
საბოლოოთ გადაწყდება.

— არა, გოგი! ჩემი გული
ბძოლის ველზე არ შეკრთება,
დღესაც ისე, როგორც წინათ,
ბძოლის ცეცხლით აენთება...
მხოლოთ რაღაც სხვა მაწუხებს...

კარგად არც მე გამეგება...

ეჰ, ამ ბოლოს სიზმარიც-კი

საკვირველი მესიზმრება!

თუმც სიზმარი მე არა მწამს, —

ან მისით რა გაიგება, —

ზოგი მაინც უნებურათ

გულს აფიქრებს, მაგონდება...

აი, გითხრა... წუხელ ვნახე

მე სიზმარი საშინელი:

თითქო წყვილიადს გავეტაცე,

გარს მენვია ჯანლი ბნელი...

ვერ-რას ვესპერტდი... მხოლოთ ჩანდა

თვალ-უწვედენი ძირს ქვესქნელი,

და მე მასში ვეშვებოდი.

სასიკვდილოთ გაწირული...

უცებ, ფთები გამომესხა,

ვიგძენ შვება, სიხარული;

ვიწყე მაღლა, მაღლა ფრენა...

და, თუ გახსოვს, ის ასული,

ჩვენ რო ვიხსენთ მცარცველთაგან,

აი, ისა შორს, ნაპრაღზე

იღვა მარტო... რაღაც გძნეულ,

სხივებათ შლილ ცეცხლის ალზე
 ისე ტურფათ გამოკრთოდა
 ღვთაებრივი მისი სახე,
 ისე ნაზათ მიღიმოდა,
 რო, როგორც-კი დაინახე,
 მყისვე მისკენ გავესწრაფე,
 მისი ხილვით მოხიბლულმა, —
 გულში თითქო დამიარა
 შვების ტკბილმა ნაკადულმა...
 მივქერი... მივქერი... მარა მაინც
 კვლავ შორს არის ის ნაპრალი,
 კვლავ პირქუშათ გადმოწყურებს
 თვალუწვედენი ის კლდე სალი.
 აჰა, კიდევ დავილაღე...
 ოფლის ღვარათ ვიწურები;
 მარა მაინც მივქერი, მივქერი,
 ნაპრალისკენ ვიყურები.
 და იქ ისევ ის ასული
 იღიმება სხივთა ფრქვევით;
 გულს არ ვიტყვ; ძალას ვიკრეფ
 და კვლავ მივქერი ზევით, ზევით...
 აი, თითქო მივადწიე,
 მისი ხმა-კი მეყურება:
 „ამოფრინდი, ამოფრინდი!
 არ შეშინდე!“, მეუბნება.
 და, როდესაც მივანლოვდი,
 აფრთოვანდა, გაიხარა,
 გადმოსწია ჩემსკენ ხელი
 და საშველათ დაიხარა...
 მივე ხელი... და ოჰ, ღმერთო! —
 უცემ მოვწყყდი... ფთვებს ვერ ვხმარობ!
 ის ასულიც თან გადმოწყვა...
 ვკენესი, ვკივი... აღარ ვწყნარობ.
 ჩემი თავი არ მეტრალვის,
 მისთვის ვწუხებარ, მისთვის ვტირი;
 ვამბობ: მე ხო მაინც ვიყავ
 ბნელ ცხოვრებით განაწირი,
 ეს საბრალო რაღათ კვდება,
 რათ გასწირა ჩემთვის თავი?...
 ის-კი, თითქო ხელს მაგრათ მხვევს...
 გარს გვეხვევა რიღე შავი ..
 და ვეშვებით ბნელ უფსკრულში...
 გული თითქო დნება, კვდება...
 ძრწოლა-შიშით გარემოცულს

აი, ამ დროს შეღვიძება.
 — ჩემო შალვა, ეგ სიზმარი
 გულის ფიქრთა ნაყოფია;
 ჩანს, შენს გულსა სიყვარული
 მწვავე ისრათ დასობია...
 იმის შემდეგ, რაც ის ნახე,
 ხშირათ გატყობ დაღონებას,
 ხშირათ სადღაც გაიჭრები
 და ეძლევი იქ ოცნებას.
 რათ ნიშნავ შენს მეგობარს?
 მე ხო მაინც მიგიხვდები?
 და მართალი, თუ არა ვარ,
 რატო შეკრთი, რათ წითლდები?
 — კარგი ერთი, თუ გიყვარდე!
 სად მე და სად სიყვარული?
 დევნილს უნდა ტრფობის გძობა
 გულში ქონდეს ჩამარხული!..
 ჰა, ბიჭებიც გამოვიდნ...
 მალე წასვლის დროც დადგება...
 საჭიროა ყოველივეს
 წინ და წინვე დამზადება...

II.

შალვა.

...დღეს აენტება სამშობლოს ცაზე,
 ძმებო, მომავლის შუქურ ვარსკვლავი,
 და იგძობს მწვავე გულის ტკივილსა
 ჩვენი მტარვალი, სულთა მხუთავი!..
 დღეს ჩვენს რაზმს უნდა შევიძინოთ
 ფული.
 შკრელ იარაღათ წმიდა მიზნისთვის;
 დღეს ჩვენ მეკობრეს დავედარებით,
 ჩვენ, განწირულნი ჩაგრულთა ხსნის-
 თვის!
 რაც სურთ, ისა თქვან, ჩვენ არ
 შევდრკებით,
 წმიდაა ჩვენი ლტოლვა-სურვილი:
 გვსურს — ტანჯვის შვილთა სანატრ
 განთიადს
 ავხადოთ რიღე შავთ ბურვილი!..
 ამ საქმის შემდეგ ყველა სოფლებში
 გავაჩენთ, შევკრავთ მეძძოლოთ რა-
 ზმებსა,

და თავის დროზე მათ დაფურცებთ
ჩვენ იმ ფულებით ნაყიდ თოფებსა...
დღეს ცოტანი ვართ... სიფთხილე
გვმართებს...
მზემ მოანათა, წასვლის დრო დგება..
პავლე, მზათაა?

პავლე.

— რაი? ყუმბარა?
სულ თლად დაღეწავს, როცა გას-
კდება!
მიანგრ-მოანგრევეს იქაურობას,
ცეცხლის აღს ტყორცნის კამარას
ცისას!
დასჭექს, დაეღავს და დააბნელებს
ციალა სხივებს გიზგიზა მზისას!
და გადმოუშვებს სისხლის წვიმასა,
წითლათ შეღებავს ბანაკს მტრებისას!
და, შემდეგ, ისევ გამოაბწყინვებს,
ძმებო, განთიადს გამარჯვებისას!

გიორგი.

თუ კი მოხერხდეს და გამოეწყოს,
ვერიდოთ, ძმებო, სისხლის დაღ-
ვრასა...

პავლე.

მაკვირვებს, გოგი შენი სიტყვები:
სისხლს ნუ დავეღვრითო. რასამბობ,
რასა?!
ჩვენ, თუ-კი გვწოვენ წვეთ-წვეთად
სისხლსა,
არ იბრალებენ დიდს და ბატარას,
ისე ძღვებიან ჩვენი სისხლითა,
თითქო სმენ წყაროს ზვირთებ-ანკა-
რას, —
ჩვენ რათ არ ვღვაროთ იმათი სის-
ხლი?
რათ შევიბრალოთ მტერი ნავ-ბნელი?
შური ვიძიოთ, შური მტარვალზე,
გავკრათ, გავუსვათ სიკვდილის ცელი!

გიორგი.

ნუ ცხარობ, პავლე!.. ჩვენ მიტო
ვიბძვით,
რო გავამეფოთ ქემშარიტება;
და სიპართლისთვის მეძძოლს აროდეს
არ შეფერს, არა შურისძიება!

ჩვენ გვსურს-ტანჯვის შვილოთ, ხალხსა
მშრომელსა
უსაზღვრო ტანჯვის ავხადოთ რიდე,
ამისთვის ვიბძვი, ამისთვის ვომობ
და არა მიტო, რო სისხლსა ვღვრი-
დე!..

თედო.

კმარა კამათი! ისე ბაასობთ,
თითქო ვართ უკვე გამარჯვებული,
და შებრალებას გვევედრებოდეს
მტერი, სასტიკათ დაპარცხებული.
აი, ხოხედავ, სად შევხიზნულვით?
ტყეში ვიმაღვით, როგორც ნადირი!.
დროს ნუ-ღა ვკარგავთ, საქმეს ვე-
წიოთ...
მტრებს შეეყაროს ბნედა და ქირი!

შალვა.

დროა, წავიდეთ, ამხანაგებო!
გსცნათ, რას გვიქადის დღეს ბედის
წერა...
ამ ტყეს გულ ნათლათ გამოვეთხოვოთ
და შემოვძახოთ ჩვენი სიმღერა...

III

მზის თბილ სხივებში ფოთლე-
ბი ტყისა
ზურმუხტებ ბზენდა, იღიმებოდა...
ძმათ-შეფიცულთა ტკბილი სიმღერა
შორს, მთის ორწოხში დაინთქებოდა.

სიმღერა.

სულის მკოდველ ბნელ ცხოვრე-
ბას,
ბნელ ცხოვრებას განვერიდე;
აწმყო დავგმე და ვავჰვირიტე
მომავალის მკრთალი რიდე.
ხელთ ავიღე იარაღი,
ბძოლის ქარ-ცეცხლს არ ვერიდე.
ჯობს ქედ-მოხრით ცრემლის ღვრასა
ბძოლის ველზე სისხლსა ვღვრიდე.
ვგმობ მონობას, მონურ ყოფნას
თაყვანს არ ვცემ მტარვალებსა;
ვგმობ იმ ვაშკაცს, ვინც ბნელ ძალას
თაყვანსა სცემს, ვგმობ მხდალებსა!
ვგმობ სიხარულს, ოდეს ირგვლივ

კენესა ისმის, კენესა მწარე;
ვგმობ ამ ყოფნას, ოდეს

ტყვიის მფრქვეველ რკინას ვემე,
დაშნა ბასრი ვიმეგობრე:
ქვემძრომთ ლაშქარს თავს დავესხი,
ვაწიოკე, ვიმეგობრე.

დე, დავიწვა ბძოლის ცეცხლში,
დე, ვავქრე, ვით ნიაე-ქარი!
ჯობს მონობას, ბძოლის ველზე,
ესობოდეს გულს ისარი,
მტრის ისარი,
მტრის ისარი!

IV

ტყეს დაბურულსა, მუხნარსა,
დუმილით გარე-მოცულსა,
შუა მიუღის ვიწრო გზა
ველ-მიდვრით გარემორტყმულსა;
და ამ გზით ძმათ-შეფიცულნი
მიდიან, მიიქარიან;
არ-რას ამბობენ ჭაბუკნი,
ჩაფიქრებული არიან.
ხუთი წინ მიდის და ორი
კოტათი ჩამორჩენილა,—
ვინ იცის, მათი ფიქრები,
საით ქრის, სად არ ფრენილა!—
ეს ორი არი-გიორგი
და შალვა მისი ძმობილი,
ორი ლომ—გული ვაშკაცი,
ბძოლის ქარცეცხლში წრთობილი.
მიდიან, მისწრაფიან,
გზას ამოკლებენ ტყიანსა,
არსად ელიან ამ ტყეში
მტრისგან რაიმე ზიანსა...

მარა, ჰა, უცებ გაისმა
ჩასაფრულ ჯარის ბძანება:
„ხელი აიღეთ თოფებზე!
არ სცადოთ მიმოქანება!“
შეკრთენ ჭაბუკნი, შეჩერდენ
მოულოდნელი ბძანებით,
თითქო დაადგათ მძინართა
მტრები დალესილ დანებით...
უცევ შეინძრენ... აენთოთ

ცეცხლით მგზნებარე თვალები...
ამ დროს იქექა მტრის თოფმა,
მოედვით ცეცხლის ალები...
ხუთი ვაშკაცი უსულოთ
მიწაზე ნელა დაეშვა...
თითქო პურს, ველზე მდგომარეს
ულმობლათ ცელი გავსვა...
ამის შემხედვარ გიორგის
გულს ალი შემოფენია,
თქვა: „ რალათ მინდა სიცოცხლე,
ამ ქვეყნათ, რა დამრჩენია?.. „
და მიუვარდა მტრის საფარს,
ასტეხა ტყვიის ზუზუნნი...
თლად კვამლში გამოეხვია...
ისმოდა ჭექა-გუგუნნი...

...
სწრაფ-სწრაფათ სროლა თოფისა
შალიკომ აღარ იკმარა:
მარდათ მივარდა პავლესთან
და ამოართვა ყუმბარა...
ცეცხლის მფრქვეველი თვალები
მოავლო საფარს მტრისასა,
ედარებოდა ზღაპრულ გმირს
და სასტიკ რისხვას ცისასა...
ყუმბარა მარჯვე ჰოქნევით
მტრისაკენ გადაისროლა,
თითქო მათ თავზე უეცრათ
ღეთის რისხვამ გადაიქროლა...
იელვა, იქექ-იგრვინა,
მიწამ დაიწყო ზანზარი,
გავარდა მები ძლიერი
და ჯარს დაეცა თავ-ზარი...
უცევ დადუმდა ყოველი,
სადღაც შორს მისწყდა ზუზუნნი...
ისმოდა მხოლოთ დაქრილთა
მწარე კენესა და წუწუნნი...
შორს ცხენზე მჯდომარ ბ—ს
შალიკომ თვალი მოავლო,
სწრაფათ გაქანდა იმისკენ,
იარაღს ხელი გაავლო...
კოტა რომ დაუახლოვდა,
მედვრათ შესძახა შეყვირა,
დაადგებინა სასროლი,

მისკენ რო გადმოვლირა.
 იელვა ცეცხლმა თოფისამ,
 გაეარდა, დაიგრილა,
 და ბ—ლი ტყვიამა
 უკულმა შეატრიალა.
 ისე დაეშვა ცხენიდან,
 ვით მოკვეთილი შტო ხისა;
 ობლათ გაისმა, მიდუმდა
 ხმა მისი ამოხერისა...
 მიმოიხედა შალიკომ,
 მოცულმა ცეცხლის ალებით,
 დახოცილ ძმობილთ შეხედა
 სევდით აღსაკეს თვალებით...
 უკეფ შებრუნდა... სახეზე
 ტანჯვის ზღვა ეხატებოდა...
 სწრაფათ გაიქცა ცხენისკენ,
 შევლივით მარდათ ხტებოდა...
 ცხენს გადაეველო ქარივით,
 გაქუსლა, გააქიანა...
 ამ დროს მარცხენა გვერდები
 მტრის ტყვიამ დაუზიანა...
 კვლავ ატყდა ჩაფართ კიჟინი,
 და ტყვიის ზუზუნ-ზუზუნი;
 ტყის სიღრმეს ეფინებოდა
 მათი ხმა, მათი გუგუნო...
 შალვა-კი სისხლის თქრიალით
 ცხენს მარდათ მიაქროლებდა,
 მხოლოთ ხანდასმით ქრილობა
 აკრთობდა. შეაჭრყოლებდა...
 ჰა, ტყე გადავლო... გამოჩნდა
 მიდორი ხვერდოვანი,
 ზღვასავით ფართედ გაშლილი,
 ფერადი ყვავილოვანი
 შორით დაავლო მტრის რაზმი
 გულ-დაწყვეტილი, მწუხარე;
 მიდუმდა, აღარ ისმოდა
 მათი კიჟინი მქუხარე..

მიქრის დაჭრილი მხედარი
 სისხლით რწყავს ველსა მწვანესა,
 მიქრის, ვინც მტერი მრავალჯერ
 ბძოლის ქარ-ცეცხლში აკენესა.
 მიქრის და სისხლით იცლებს,
 სუსტდება შავ-ბედიანი...
 ცხენსაც წაერთვა ძალ-ღონე,

არ ძალუძს მეტი კიანი...
 ჰა, რიონს მიუახლოვდა,
 შეჩერდა კავშიანი, —
 დასასვენებლათ იწვევდა
 მიდორი ხვერდიანი.
 ჩამოხტა... ცხენიც გაუშვა,
 წამოწვა გულ-ნადვლიანი...
 ოდნავ დამწვილდა, ემა
 ბალახი ცვარ-ნაპიანი...
 მალე წამოდგა... გარშემო,
 პირქუშათ იცქირებოდა;
 გულს უსუსტებდა ქრილობა,
 ხშირათ კრთებოდა, ბნდებოდა...
 მაგრათ გაიკრა გვერდები...
 შუბლს ოფლი გადმოეწურა...
 რიონისაკენ დაეშვა,
 და მის ტალღებში შესცურა...

V

ჩქებს როინი, კოცნის ნაპირს,
 ტალღებს ნელა მიაგორებს;
 ცურავს შალვა, ებძვის ზვირთებს
 და ნაპირს თვალს არ აშორებს...
 დაიღალა... და ქრილობაც
 მწვავე შხამათ გულს ეფრქვევა...
 ებძვის ტალღებს... ზვირთა რაზმი
 ძალას ართმევს, გარს ეხვევა...
 ჰა, შვა ალაგს მიიღწია...
 გაძლიერდა ტალღათ ბძოლა;
 აგერ, ერთმა დიდმა ტალღამ
 ოვის ნებაზე დააყოლა ..
 იღუბება... სწრაფი ფიქრი
 ფიქრსა ბადებს გულის მწველსა:
 უკანასკნელ საღამს უძღვნის
 თვის სამშობლოს საყვარელსა...
 მარა, აჰა, გულში ცეცხლი
 ერთხელ კიდევ დაეკვება,
 ტალღას მდგრათ შეებძოლა,
 სასიცოხლოთ დაიკვნესა...
 იქვე ახლოს მდინარეში
 ქვაი იყო აღმართული,
 ზე ჩამოჯდა დაისვენა,
 უთრთოლოვდა ბედ-კრულს გული...
 წუთის მწვავე ფიქრმა დანთქა
 განვლილ ყოფნის მოგონება,

გარს უვლიდა თავის, მე — სა
 მისი აზრი და გონება:—
 “რა ვიყავი?.. სად ვილტვოდი?..
 საით ქროდა ჩემი სული?..
 რაც ვეძებე, ვერ ვიპოვე
 ისე ეჭრები ბედით კრული!..
 ვაჰმე! ბძლის ველზე ყრია
 ძმები მტრისგან განაწირო!..
 მათი დედა მოთქვამს, კენესის
 სისხლის ცრემლით ანატირი!..
 ეპ, ნაპირზე მაინც გაველ,
 მშობელ მიწას ჩავეკვრები.
 კვლავ შევეღებავ ჩემი სისხლით,

ცრემლს დავაფრქვევ... და გავქრები“
 კვლავ მიარღვევს შალვა ტალღებს..
 ჰა, ნაპირსაც მიაღწია
 გულს სიამე მოეფინა,
 წყალს რო თავი დააღწია...
 მიდის... მარა აღარ ძალოუს,
 სულს უხუთავს, ტანჯავს წყლული...
 აგერ, მაღალ ტირიფთ შორის
 ჩაიკეცა გულ-წასული...
 (შემდეგი იქნება.)

ობოლი მუშა.

ჩემს სატროოს.

ოქროს ძაფით გარიჟრაჟი ოქროს ქსოვილს შენთვის კერავს,
 ღამაზე თავ-ყელს შემოგაჯევეს მფეთქავ შუქის ანარეკლათ,
 იის მსგავსათ სურნელის მფრქვევ შენაწნაებს დავიფერავს,
 აგიყვავებს გულს, სიცოცხლე რომ არ გიჩდეს სულ ნარ-ეკლათ...

შეხე, დილამ ღამის კალთა ნისლთან ერთად, სად ჩაკეცა,
 ააყვავა დედა მიწა, აათრთოლა ლაქვარდი ცა,
 რო სიცოცხლის, ბძლის ხმები მიდორ-ველათ კვლავ მოფინოს,
 ახალ ჰანგით იმედი შევას, ჩაგრულთ მხარე აღადგინოს.

ბილიკს გავყვეთ, ნარ-ეკლებმა, დაე, ფეხი დავვისიროს,
 იქ ვისწრაფოთ, მაღალ მთისკენ—მთიდან უფრო დავინახავთ
 ძე აღამის, მიწის მკერდზე, ვით ებძვის ბედს სანაწიროს,
 ერთად გავყვეთ-გზის სიბნელეს, ერთად უფრო გადავლახავთ.

ი. სიხარულიძე.

თაიგული.

მიბაძვა.

(გულდენი ზოგიერთებს.)
 კოსტას სიმხდალე შივბარე,
 პარმენას ფარისეელობა,
 ორ სკამზე ჯდომა-კვერნაძეს,
 (თანამედროე ხელობა).
 გაიძვერობა რუხაძეს,

სანტრათ მდგომიარესა;
 ბრმათ დამცველობა გრიგოლას,
 (ვასილზე მგლოვიარესა).
 ცვალებადობა ლალატი—
 ფრუიძეს, შესაშურები,
 „ჟურნალისტობა“—ბიქტორას,
 (თუ „დაწყდენ ბედპურები...“)...
 „ეფრემს“ — ტყუილი, მეღენტის—
 მუდმივი „ნეიტრალობა“(!),
 ხოლო-მიშკოს-უზომო

ტრაბახი, კკუა-მწყარალობა...
 შევეკონე თაიგულათა
 მთელი „საუნჯე“ „რჩეულთა“;*)
 და შენ მოგიძღვენ, გეკუთნის,
 ნუ გაჯავრდები ტყვილათა...
 ნიშნათ ვაკიცხვის მიიღე,
 ქამელეონთა მთავარო!
 აგენტურისა მპყრობელო,
 პეტრეს დიდებავ, ჯავარო!“**)

ბას?

„ქრისტე აღსდგა“, სტვენს ბულობული.

* *

ხალხი ხარობს, ზარები რეკს,
 აღიდებენ ქრისტე ღმერთსა:
 „ქრისტე აღსდგა“, და ძმებივიო
 ეხვევიან ერთმანეთსა.

* *

ძმებო, ჩვენაც გავიხაროთ,
 გადავკოცნოთ ერთმანეთი;
 აღსდგა, ეინაც თვის წამებით,
 ნათლათ მოსა ჯოჯოხეთი...

კ. მიმქრალი.

ქრისტე აღსდგა!

მზე ციმციმებს, ოქროს სხივით,
 წითლათ ღებავს არე მარეს,
 გრილი სიო ნელათ არხვეს
 ფოთოლთ ნამით მობზინვარეს.

* *

მთიდან მოჩქეფს ნაკადული,
 მიჩქრიალებს მწვანე ველში,
 თითქოს მასაც „მისამკვლევ“
 მიაქვს, მიდის მდინარეში.

* *


ია-ვარდით მოროულ მთა-ბარს
 გაღუფურჩქნავს მწვანეთ გული;
 ფრინველთ გუნდი შეკრებილა:

*) გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, ვაცხადებთ, რომ აქ ნახმარი სიტყვები „მთელი-საუნჯე“ შეეხება მხოლოდ იმ „მარგალიტებს“, რომელიც ჩვენ უკვე სხვას მოვტაცეთ. დანარჩენ „საუნჯის მოტაცებას“, რომელიც ხსენებულ პირებს აშვენებს, ხოლო ჩვენ-კი აქ არ შეეხებოდა, ვერც დაგვაბრალდებენ.

ავთ.

**) ამ ლექსით ავტორი თავის დროზე მიულოცავს „დამსახურებულ“ იუბილიართ, დ. კიათურაში.

ბ—



ტურფას.

ვით ვერ ვინ დავმობს მზისა შეენებას,
 იმის ციმციმა ოქროს ფერ სხივებს,
 ზღვის უფსკრულიდან ამონაკრებსა,
 თვალ-მარგალიტის ციალა მძივებს,—
 ისე შენს სახეს, ვარდის ფრათ გაშლილს,
 ვითა ვარსკვლავსა, ბწყინვალე თვალებს,
 შავ-ხუტუტ ნაწნავს, მარჯნის ფერ ბაგეს,
 კოკობათ აშლილ ეშხიან ხალცებს.
 ვინ არის, ვინა, შენს კოკობ გულ-მკერდს
 თავ დავიწყებით არ დაეკონოს!
 და წუთიერთ თვისი სუნთქვაც—კი
 შენსა შეენებას არ დაუმონოს?

ვაზის ყლორტია შენი სხეული,
 ციური ნამით ედემში ზღლია,
 და სახე შენი, ყვავილის კონა,
 მზის სხივეზისგან ნაზათ გაშლილი.
 შენი თვალეზი, ვარსკვლავთა შუქი
 ბურთათ შეკრული, ცით მონავარდე;
 მისი ციმციმი ზოგისთვის ტკბილი—
 და ზოგისათვის უღმობი ბადე.

ეგ ნაწნავები, იფნის კუკური,
 ვარდის ბუჩქნარზე ამაყათ მრხევი,
 სევდის ამშლელი ნაზი ბაგენი,
 სურნელოვანი ჰაერის მფრქვევი.
 მეფე ხარ, მეფე, დაუძლეველი...

მიჯნურთა სულის მონათ მპყრობელი...
 ზოგჯერ კეთილის, მარა უფრორე
 ბოროტების ხარ წარმომშობელი.

მინა რაქველი.

* * *

როცა ფიქრი სულის მწველი გაშლის ხოლმე ჩემში თვის ფთებს,
 როცა სევდის ნაპერწკალი გულში მინთებს ცეცხლის ზვირთებს
 და გიყურებ შენ, შორიდან, განაწამებს ძალ მიღეულს,
 გვედრები, გთხოვ, ტანჯვის დროს, ნუ მიკითხავ სევდის რვეულს.

დაე, დასტები ჩემის ტანჯვით და მიყურე გინაწამებს...
 მხოლოთ, რას გთხოვ, ნუ დამითელი იმ წარსულის ტკბილსა წამებს...
 ის წუთები შენ მაჩუქე, დღეს თვით მართმევე, შენგნით ძლეულს,
 გვედრები, გთხოვ ტანჯვის დროს, ნუ მიკითხვე სევდის რვეულს.

გთხოვ, წარსულს ნუ მომაგონებ. მე აწ მისი არა ვიცი...
 აწ იკმარე ჩემი ტანჯვა, ნუ გასტეხე შენი ფიცი...
 მარა... არა! მე ნუ მწყევლი. ის ფიცი ხო დღეს შენ დაჰგმე
 და იმ ფიტან შეც შემლახე, მეც მაწამე, მეც ამლაგმე.
 თუ ასეა.. მეც წაგართმევე ძველსა სახელს, ქალსა გძნეულს,
 რათგან მტანჯავ და ტანჯვის დროს შენ მიკითხავ სევდის რვეულს.
 ქ. გორი.

ობოლი მწყესი.

მკვლელობა.

მოთხრობა როზენკნოპისა.

(ძღვნათ ტასიკო ფანსხავას ასულსა.)

შენს ბწყინვალე ხსოვნას, ჩემი ერთათ ერთი,
 სიზმარივით აღმოცენებულა და სიზმარი
 ვითვე გამქარალო; ვუძღვნი ამ სტრიქონებს.

I

განადგურებული, ყოველივეს მოკლებული,
 საპყრობილეს წყვილიადში ვათავებ ჩემს ასე შეე-
 ნიერათ და ამაყურათ დაწყებულ არსებობას.
 მხოლოთ შენი დაუცხრომელი ხსოვნა, მარტო-
 მარტო მათფობელ ცეცხლათ ღვივის ჩემი ცხო-
 ვრების ცივ უდაბნოში. არ ვიცი, სად ეღება
 ბოლო მატერიას და იწყება სული, სად თავდება
 ყოფნა ღ სად ოცნება, სად სიზარ-
 თლვე და იწყება არ ყოფნა, სად არი

სინამდვირე და სად სიბრუნდე! არაფერი არ-
 ვიცი სინამდვილით ამ დახშულს ბნელ ქვეყანაში.
 მარა, როცა ვფიქრობ შენზე, როცა შენ გემუსაიფე
 ბი, შენ ცოცხალი და განუყოფელი დგახარ ჩემ წი-
 ნაშე; ცოცხალი მთელი შენი არსებობით, შე-
 ნი მზის სხივებზე ჰოელეარე, გადაშლილი თმით,
 დაუშრეტელი, საიდუმლო სხივებით მოკული, ზე-
 გაღმონიქებული თვალებით, შენი ლაშაზი, შეუ-
 დარებელი, ყოვლათ შემძლებელისგან შექნი-
 ლი ბეჭებით. და მინდა შენც და ჩემ თავსაც
 აეუხსნა, თუ რა დამემართა...

II

გესმის თუ არა ჩემი, ჩემო დაუვიწყარო,
 გესმის თუ არა, ჩემო სამუდამოთ დაკარგულო,
 გესმის თუ არა ჩემი?..
 გახსოვს, თუ არა, შენ ის საუბედურო

თვარიანი ღამე? არა თუ თვარის სხივები იყო მაშინ გაფანტულა ჰაერში, ჩვენი დაუშრეტელი ლტოლვილებაც-კი ეფინებოდა სამყაროს და თხეილისა და ნაზი ქსოვილით ფარავდა მას, ყველაფერი დაქანცულ იყო; ხალხი, რომელიც წყნარათ მიმოდიოდა, ნადირნი, ტყეები, ბაღები და თვით განუხანგრელი ღამეც.

ჩვენ დიდხანს დავდიოდით იმ ღამეს ერთად... დავდიოდით უმიზნოთ, უსიტყვოთ დამთვრალნი თვარით და ჩვენი საკუთარი ლტოლვილე ბითაც.

საღლაც ბალის ბოლოს ჩვენ დავსხედით. ჩვენ წინ გადაშლილიყო მდინარე, რომელიც ძილით მოცული მიდიოდა საღლაც და ძლივს გასაგონრათ ბუტბუტებდა რაღაც თავისას, მდინარისებურს.

ტალღათა ხმაურობამ გამოგვარკვია ჩვენ.

—უკვე გვიან არი-მითხარი შენ წყნარათ, თითქოს გეშინოდა ვინმეს გაღვიძება, ან ვინმეს შეშინება.

წავიდეთ.— გითხარი მეც, აგრეთვე წყნარათ და ავდექით.

კვლავ მივდიოდით უხმოთ. მივდიოდით მოჯადოებულნი ჩვენი სახლისკენ.

შენი ოთახის ფანჯრები, რომელიც ბაღში გადიოდა, ღია იყო. მთელი ოთახი სავსე იყო ცისფერი აჩდილებით და სურნელოვანი ღამის დამათრობელი ჰაერით.

შენ სანათი ანთე. დააფრთხე თვარე და ზაფხულარს უხმო, მოკლე ოცნებანი, რომელიც შენ ოთახში იყო გაფანტული. ახ, რათ ქენი ეს? განა არ იცოდი, რომ თვარე ასწორებს და ალამაზებს ყოველ სიბრუნდეს და ფარავს ადამიანის სახეზე ნაოკებს და დაღრეჯილობას?

მე მოვედი შენთან. როგორც მზის მწვევი სხივები, მსურვალე და ამაღლელებელი, გარს შამომეკრა შენი ჩვეულებრივი სუნთქვა. დამტკბარი შენი ალერსით, მე შევეტაპე და ვიხარე ცხელს, სურნელოვან ტალღებში, რომელთაც დამფარეს... მე.

თავი მიგანებე მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე მკვდარი იყავი. არ მახსოვს ვინ, ან როდის დაქრო სანათი; ოთახი კვლავ იყო მოცული

თვარის სხივებით და ღია ფანჯარაში—კი წყნარათ სუნთქავდა ღამე. შენ გაუნძრევლათ იდე; თეთრ, ნაქსოვ პერანგით ჩაფლული იყავ თეთრ სავე სპეტაკ საწოლში. მეტათ საცოდავი იყავი სინათლეზე, რომელიც შენ ოთახში იყო. ცის ფერ სინათლეს მოეპარა შენთვის ძალადატანებული სიკვდილის ნიშნები.

ამაყი და მედიდური, ვით ქანდაკება, იდე შენ და სწორა, დეთაებრივ შეუტოდველათ გამოიყურებოდა შენ სპეტაკ პერანგიდან შენი საოცნებოთ გამოქანდაკებული სხეული.

მე ვიცოდი, რომ დავახრჩვე, მარა არც შიში, არც სინანული არ მაწუხებდა. მე არ ვგძნობდი, რომ შენ ჩემგან წახვედი. შენ იყავი ჩემთან განუყრელათ. მე მეგონა, რომ შევაჩერე დროთა/დენა, შევაჩერე ცხოვრება სამუდამოთ დამლუბველ გზაზე.

მე მუხლებზე დავეცი და აღტაცებით ვამბობდი:

იძინე, უძვირფასესო, იძინე. გაიყინე საუკუნოთ ხელ-უხლებელ ქანდაკებათ, დაუქრობელ ვარსკვლავათ, დაუშრეტელ სილამაზეთ. მთელი საუკუნოების განმავლობაში ახარე და უნათე ბნელი იმ საწყალობელ, მომაკვდავ ხალხს, რომელიც, თუ გინდ, ერთი წუთით შეგიყვარებს შენ. შენ მეტს არ იცოცხლებ, მარა არც მოკვდები, არ აყვავდები, მარა არც გაიხრწნები. ...იძინე, უძვირფასესო, იძინე!

მოკლე, ზაფხულის ღამემ უკვე გაიბრინა და მკრთალი სინათლე ბალიდან შენ ოთახში შემოიჭრა.

აწითლდა აღმოსავლეთი... მზის პირველი სხივები საამურათ ათამაშდენ შენს დაშლილ თმაში. ძნელი გასარჩევი იყო სხივი შენი თმისაგან

მაღე ცხოვლათ ანთო მზე. უხმოთ შამოიჭრა შენს ოთახში და დაფარა იგი. ბაღში ფრინველები ატიკტიკდენ. დადგა ჩვეულებრივი ზაფხულის დღე.

მე მომესმა, როგორ მოარახუნეს კარებს. მარა მე არ მივიხედე. მოარახუნეს მეორეთ. უცვფე, კარი გაიღო: შამოცვინდა ხალხი. მე ამიყვანეს და გარს შამომეხვიენ.

— იგი ღამსვრჩალია! წამოიძახა ვილაცაჰ.

— დიახ, დიახ, წამდვილათ... თითები აჩნია კისერზე, აი!.. თქვა მეორემ.

— ხელი არ ახლოთ წმიდათა-წმიდას! წამოვიძახე მე.

მარა მე წამომეხვიენ, გარეთ გამომავდეს და წამიყვანეს...

III

დღენი, თუ კვირანი, თვენი, თუ წელნი გავატარე მე ჩემს ყოველ მხრიდან დახშულ საკანში?!

მარა მე ვლოცავდი საპურობილეს, არაფერი არ შამიდიოდა შიგ და არ ღგებოდა მე და შენ შორის. მე ვცხოვრობდი შენით, გხედავდი შენ, ვფიქრობდი შენზე, ვტკბებოდი შენით, ისეთით, როგორც ვნახე შენ უკანასკნელ ღამეს, შენზე შერჩენილ სილაშახით. მე ვწყევლოდი ყოველ მოძრაობას, ყოველ ხმაურობას, რომელიც შენ გაფთხობდა და ჩემ თავს გაშორებდა.

ერთხელ, შამოიჭრა ზაფხულის მზიანი, ხმაურობით ხავსე დღე ჩემს საკანში და ჩადვა ჩვენ შორის. მე სასამართლოში წამიყვანეს. როგორ ვაგძეღდა ეს დღე... დიდებული ზალა... მსაჯულთა დიდებული, მკაცრი და მაყურებელთა სულელი სახეები... პირველათ ერთი ლაპარაკობდა დიდხანს და ჭკვიანათ.

მის შემდეგ, მეორე ცდილობდა ელაპარაკნა უფრო ჭკვიანათ და მტანჯავდენ მე:

- სარწმუნოება?... წოდება?... ხელობა?..
- მე მხატვარი ვარ.
- დიდხანს ცხოვრობდით ცოლთან?
- ათი წელი...!
- გიყვარდათ იგი?
- ჩემს სუნთქვაზე უფრო.
- უყვარდით, თუ არა მას?
- ერთწუთს ვერ იცოცხლებდა უჩემოთ.
- ხომ არ უღალატებია თქვენთვის?
- უმალ მდინარენი შეცვლიდენ დენას.
- რამ გაიძულათ, რო მოკალით?
- დიახ, იგი მე მოვკალი...

1... ცნობთ, თუ არა თავს დამნაშავეთ?

— დიახ, იგი მე დავახრჩე.

— რამ გაიძულათ

მე ვღუმიღ. განა შემქმლო ამეხსნა იმათთვის ის განუსაზღვრელი უბედურება, მთელი ის ვეებერთელა ჯავრი და დაუძლეველი, ტიტანური ტანჯვა, რომელთაც მე მაშინ დამიმონეს და შენი თავი მომაკვლევინეს? შენი, ჩემო ერთათ ერთო სამუდამოთ ძვირფასო! რო ვინიცოცხაა, მე შენ დამეხრჩე იმ ძვირფასი ბრილიანტის ძიმისთვის, რომელიც შენ ყელზე გქონდა, მაშინ ისინი ამას კარგათ გაიგებდენ.

— ხო არ დაგიხვიათ იგი ალერსის დროს?

— მე მიყვარდა იგი მთელი ნორმალური სიყვარულით.

— ხომ არ წაჩხუბებულხართ იმ ღამეს

— იმ ღამესავით ჩვენ არასოდეს არ გვყარებია ერთმანეთი

— ქონდა, თუ არა მას ძვირფასი ნივთები?

— ქონდა!

— ქონდა მას ქონება?... ქონდა სიმდიდრე?...

— დაუფასებელი...

— მოძრავი, თუ...

— თვით იმაში იყო ეს სიმდიდრე, მხოლოდ იმაში...

მე კვლავ წამიყვანეს ჩემს საკანში. მარა ახლა-კი მარტო არ დამტოვეს. ჩემთან დაიარებოდენ სწავლულნი, აი, ისინი, რომელთაც ყველაფრის მკოდნეთ მოაქეთ თავი. მე მეკითხებოდენ, მსინჯავდენ, მამოწმებდენ.

მე სამუდამოთ ჩამამწყვდიეს ამ სახლში, რომელიც სავსე იყო ჩემსავით ავანტიურ და უაზრო ოცნებათა მოკულ ხალხით. მარა, განა სულერთი არ არი ჩემთვის, თუ როდის დაცალიერდა მიწა? განა სიცალიერე ყველგან ერთგვარი და ერთფეროვანი არ არის?..

IV

ჩემ პირველ ახალგაზდობიდანვე მე გემებდი შენ. პირველი გამოურკვეველი სისხლის დღევა, რომელიც ჩემში ქალის სახემ გამოიწვია, შენი უცნობი და უნახავი სახე იყო. ყველა ჩემი ქმნილებათა ოცნებანი, რომელიც თავში მიტრიალებდა და გამოთქმას ეძებდა,

შენ გიციდიდა, რო მხოლოდ შენით ხორც-შე სხმულიყო. ათასმა ახალგაზდა და ლამაზმა ქალმა გაიარა ჩემ წინ. მარა, მე შეგონა, რომ ეს იყო მხოლოდ შენი ბწყინვალე ამაღი, რომ მელსაც უკან შენ მიყვებოდი...

და შენც მოხვედი.

აინთო ცეცხლი, გაჩაღდა ყველაფერი. დიდებულ სამკაულებში კოპწიაობდენ ქალები, რაღაც სადღესასწაულოს უკრავდა მუსიკა. მარა ამ საერთო დღესასწაულის შორის გამოკრთოდენ ბუნდოვანი დღეები, სანამ შენ არ გამოჩნდი. ზეციურ მოვლინებათ გაიარე სასტუმროში. შენ აანთე მხურვალე ცეცხლი, შენი სხივით გაბწყინდენ ქალები, შენით სულ-ჩადგმული გაისმა სიცოცხლით სავესე მუსიკის ხმა.

შე შენთან მოვედი და გითხარი:

—მე შენ გეტყვობდი! მე შენ, დიდი ხანია, გეტყვებ, მე გიცნობდი შენ, სანამ გაგიცნობდი. მე გიხილვ შენ, სანამ გნახავდი. შე გიციდიდი შენ ყოველ გზაზე. მითხარი, ვინა ხარ: ხორც-შესხმული ქალი ხარ, თუ მხატვრის გენია ლური ოცნება? მარა, ვინც გინდა იყვე, მე ნუ მომშორდები. შე უკვლავს გყოფ შენ, ჩაგაქსოვ ისეთ შესანიშნავ საღებავებში, რომ ზარდაცემული და მოსპობილი ქვეყანა ამოიოხრებს... ნუ წახვალ ჩემგან, ნუ მომშორდები მე. ...

მე ვიმყოფებოდი რაღაც გამოურკვეველ ბურუსში და ნაწყვეტ-ნაწყვეტებათ ვლაპარაკობდი.

ჩვენ ერთმანეთს ხშირათ ვხვდებოდით. მე თან და თან ვადღვივებდი შენში ჩემს ცეცხლს, გატყვევებდი ჩემი სიყვარულით და აღტაცებით.

და შენც შემეყვარე...

დრონი ჩემი აღტაცებული ნეტარებისა გაქრენ, ვითარცა წამნი. მე ვცხოვრობდი განუწყვეტელ აღმაფრენით. შემდეგ-კა, დაიწყა ყველასთვის უხილაკი ჩემი საიდუმლო ტანჯვა. არც შენ რცოდი ეს. მორჩილი ყოველი ცოცხალი არსების აუცილებელი ბედისა, შენ დაიწყე დაშლა და გახრწნა. თან და თან, ისე რომ შენ ვერც-კა ამჩნევდი ამას, შენ შეგებდ დროს უხილაკი და აუცილებელი ხელი.

აქა-იქ დაგიქვანა კანი, დაკარგა მან თვისი სხივი და ხავერდოვანება. აქა-იქ შენ სახეს დაეტყო ნაოჭები, აქა-იქ, სრულებით შეუმჩნევლათ, ჩამოეშვა და მოდუნდა შენი საოცნებო სხეული. არა ადამიანური შორს მჭვრეტელობით ვადენებდი თვალ-ყურს შენი სხეულის გამოცვლას, ვხედავდი და ვატყობდი მის მომავალ გახრწნას.

მე ვატყობდი, რომ ჩემ თვალ-წინ, დეტალებრივი ნაჭერი, რომელიც მიწაზე ჩამოვარდნილიყო, მიწიერათ იქცა; ხდებოდა და კარგავდა თავის სიწმიდეს. მე ვხედავდი, რომ უმოწყალოთ ქრებოდა, არაფრით და არასოდეს შეუდარებელი შევნიერება. უფრო ხშირათ, შენი აღერსის დროს, მე მახიობდა შენი მოახლოვებული დაკარგვის წარმოდგენა.

გახსოვს, თუ არა, შენ ის ერთი შემოდგომის ღამე? ბნელ ქუჩებზე ისე საზარლათ დშეოდა ქარი, თითქოს ყოველ ცოცხალ არსებას მარხავდა. მე ვიწვოდი შენი აღერსით. არ მწამდა და არ მჯერებდა ქარის არაფერი. არ ვგძნობდი შემოდგომის ძველ სევდას. მარა უცეფ მოვიშორე მკერდიდან და ოხვრით ოთახში რბენა დავიწყე. შენ შეშინებული წამოვარდი, მეკითხებოდი მიზეზს, მეფერებოდი, მაწყნარებდი. განა შემეძლო მე შენთვის ყოველივე სიმართლის თქმა? ხომ არ შემეძლო მეთქვა შენთვის, რომ ის საუცხოო ქმნილება, რომელიც კაცის ხელიდან არ იყო შექმნილი, ინგრეოდა. იმ ღამეს გულის ტკივილით ვიგძენი, რომ შენი შესანიშნავი მკერდი, რომელსაც ჩემი, მხატვრის თვალეები ამდენ ხანს აღტაცებაში მოყავდა, საგძნობლათ დაშვებულყო. ხომ არ შემეძლო შენთვის ყოველივე ამის თქმა? მე გეუბნებოდი, რომ ნამეტანი ბედნიერება ხან და ხან, აგრეთვე საშიშია, როგორც უბედურება. მე გეუბნებოდი, რომ უძლიერესი სიხარული ასეთ ოხვრათ აღმომხდებდა ხოლმე გულიდან-თქო.

შენც დაწყნარდი, დაიჯერე.

შემდეგ, მოვიდა უკანასკნელი, საუბედურო ზაფხულის ღამე. იგი მოვიდა სიცოცხლით სავესე. მე ყველაფერი დამავიწყდა. შენ ჩემ

თვალში ისეთივე ნორჩი და შეუხებელი იყავი, როგორც ჩვენ პირველ შეხვედრის დროს.

ჩვენ შენ ოთახში შევედით. იგი სავსე იყო თვარის სხივებით. შენ ლოგინზე დაეშვი და მე-კი, როგორც ყოველთვის, ლმობიერებით მოვიდრიკე მუხლი შენ წინაშე. შენ სანათი ანთე. ახ, რატენი ეს? განა არ იცოდი, რომ თვარე ასწორებს და ალამაზებს ყოველ სიბრუნდეს, ფარავს ადამიანის სახეზე ნაოქებს და დაღრეჯილებას? ახ, რათ ქენი ეს?

მე ხელი შემოგხვიე. მარა საშიშმა, ცივმა ქრუანტელმა დამიარა მთელ ტანში, თითქოს უცაბედათ ხელი ჩავკარი, ჩემი უღმობელი და დამამცირებელი ბედის გაღებულ პირში. თითქოს მესმოდა, რომ ვიღაც სასტიკათ დამცინოდა. შენ გედივით ამაყურ ყელზე, მარჯვენა მკლავის ცოტა ზევით, მე დავინახე სისუქნის პირველი ნაოჭი, აფუთქული და მოჭიმული კანი, რომელსაც დაეუწნობია შენი ნაზი ყელი. დროს, რომ იმ წუთში ჩვენ სარეცელთან გაქროლა, მე ვეცემოდი მას, ვით გაქანებულ ცხენის უზანგში და შევაჩერებდი მის დამღუპველ ქროლვას.

— გაიყინე!.. დავიყვირე მე თავ დავიწყებით და შენ ნაზ ყელს ხელი მოვეუქირე გაიყინე!...

არ ვიცი, სად თავდება მატერია... და სად იწყება სული, სად თავდება ყოფნა და იწყება არყოფნა, სად არი სინამდვილე და სად ოცნება, სად სიმართლე და სად სიბრუნდე. არაფერი არ ვიცი ამ დახშულ ბნელ ქვეყანაზე. მხოლოდ ერთი ვიცი ჩემი საწყალობელი ტკუით: ის, რაც ამართლებდა ჩემს არსებობას, აძლევდა მას მიზანს და აზრს, სამუდამოთ დაკვარგე... მე საკუთარი ხელით დავახრჩე ჩემი

ღმერთი, დავანგრეე საყდარი, რომელშიაც სალოცავათ შეგდიოდით. მხოლოდ ანლა მივხვდი, რომ უაზრო ბოდვაში შეიძლება მიუწვდომელი ისურვო, უაზრო თავ-დავიწყების დროს შეეძლო დაუძლეველს. მე მივხვდი, რომ არ ძალუძს ქიანქველას წინააღმდეგ იმ ბრმა და მოუხეშავ წაღას, რომელიც მას გასრესავს და რომელის დანახვაც-კი არ შეუძლია თვისი ქიანქველური მხედველობით.

უაზროთ დამტრიალებენ თავს დღეები და ღამეები, ვითარცა შავი წურბლები. გულზე მაწვებიან, სწუწნიან ჩემს ტანჯულ სულს და სწეულ ტანს. მარა ბედნიერი ვარ მე უკანასკნელი ბედნიერებით, რომელიც არ წაურთმევია ადამიანისთვის უხილავ მცარცველის ხელს. თუ მას არ შეუძლია იცხოვროს ისე, როგორც სურს, მას შეუძლია მოკვდეს მაშინ, როცა მოისურვებს. და მეც წავალ... დანა იქნება იგი, თუ ბაწარი, განა სულ ერთი რა რის?

ბნელი ღამე არ გამცემს. ძინავს წყეულ სახლს და ბოდავს სიხმარში. მე ჩუმათ გავიპარები სამზარეულოში. გავიპარები ფეხაკრეფით, როგორც ჩემ სატრფოსან... დანა იქნება იგი, თუ ბაწარი, განა სულ ერთი არ არი? მე ჩავმარხავ ჩემში სიკვდილის ხმას, დავადუმებ საშიშ ხმას უღროდ მოსპობილ არსებობისას...

მივდივარ... მივდივარ...

შვიდობით, ჩემო ერთათ-ერთო, სიხმარივით აღმოცენებულო და სიხმარივითვე გამქრალო... შვიდობით...

გ. ალი.

ხარკოვი. 1916 წ.

ქუჩაში.

სიცივეა... ზამთრის ქარი შესაზარათ ქრის, ღრიალებს,
თოვლის სუსხით გათოშილი არე მარე თრთის, კანკალებს...
შრომის შვილთა სახლ-ქარ-ქუჩას თოვლის თეთრი ჩადრი ბურავს
ღ ტანჯვის ზღვა მის ჯურღმულში ბოროტება ფთებსა სწურავს...
აი, აგერ, მოსახვევში ზის გლახაკი გათოშილი,
სახე მკრთალი, სახე მჭკნარი, დაგლეჯილი, დაფლეთილი!..
და გამვლელებს უწვდის ხელებს, სთხოვს პურის ფულს, ში ა ეულს,
არაფერი უჭამია მთელი დღეა, ფერ დალეულს!..

გრგვინავს ქუჩა... ღელავს ხალხი, თოვლით ბურვილ მის წიაღში,
კვნესის გლახა, ითხოვს შველას, აშტერდება ვაძველეთ თვალში!..
მარა... შებრალების ნაცვლათ, მას დაცინვის ესმის ხმები,
და უდგება თვალწინ ბედკრულს შავ სიკვდილის შხამის ფთები...
ეჰ, საბრალოვ, დროთა სხვერბლო, ვინ გაგხადა მათხოვარი,
ვინ ჩაგირო არსებობის ქორფა სხივი სანუკვარი...
კაცთ სიავემ? თუ ბნელეთის შავმა ძალამ, სიხლის მსმელმა,
იქნებ, მოძემ არ დაგინდო, ან გაწამა ცრუ სოფელმა?!

მარა, ძმაო, ნუ, ნუ მეტყვი, სიტყვა შენს წყლულს შველის ვანა?
ფუ მის ყოფას, ვინც გარდაქმნა ჯოჯოხეთად ეს ქვეყანა!..

ხ. ვარდშვილი.

მამლები.

შ.

(მოგონება.)

როცა სამეგრელოს ეპარქია იმერეთისას
შეუერთეს და იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიე-
ლი მართავდა, მარტვილის ყოფილ საღვდელ-
მთავრო კათედრაზე ბესარიონ ეპისკოპოზი
აკურთხეს გაბრიელის ვიკარებისკოპოზათ.
კრებული-კი, როგორც დამოუკიდებელ ეპის-
კოპოზს ყავდა, ისე დატოვეს მარტვილში და
ვიკარებისკოპოზის ბინაც იქვე დანიშნეს.

ეპარქიას გაბრიელ ეპისკოპოზი განაგე-
ბდა, უმაღლესი ბძანების თანახმათ. ეს მოხდა
1878 წელს, ამიტო საუკუნოებიდან ნაწარ-

მოები საქმეები საეპარქიო საქმეებისა ურმებზე
დაწყობილი ქუთაისს წამოიღეს. საეპარქიო
კანცელარიის მდივანი, თ-ღი ნიკო ლორთქი-
ფანიძე და ორიოდე მწერალი გამოაყოლეს
საქმეებს და იმერეთის საეპარქიო კანცელარი-
აში შოათავსეს. ბესარიონ ეპისკოპოზს გაბრი-
ელი არაფერი საწარმოვო საქმის მონდობი-
ლებით არ აწუხებდა. მისი სამოქმედო თით-
ქმის არაფერი იყო. ცხოვრობდა მარტვილის
საკათედრო ტაძრის გალავანში, საჭყონდილო
სახლში. წირვა-ლოცვას ასრულებდა იქ და,
რათვან იმ დროს ღვდელმთავრის მიუწვევ-
ლათ შეძლებული თავად-ახნაურობა და ისე
საპატიო პირიც მიცვალებულს არ დასაფლა-
ვებდა, ამიტო, ხშირათ იწვევდენ. ღვდელ-
მთავარი თავის კრებულთ, თითქმის მუდამ
გზაზე იდგა.

ხშირათ, ყოფილ სამეგრელოს ეპარქიის რაიონში გაბრიელსაც იწვევდენ ამგვარ შემთხვევაში და რევიზიის დროსაც, უთუოთ, სამეგრელოს კრებულს დაიბარებდა, თუ ყველას არა, გალობლებს მაინც.

ერთხელ, ლეჩხუმში წაბძანდა განსვენებული გაბრიელი სარევიზიოთ. მარტვილიდან გალობლები დაგვიბარა და თვით-კი ორი დღით ადრე წაბძანდა. მარტვილიდან სამი მგალობელი წამოვედით: ციტო ქალაგანიძე, მე და არჩილა გეგეკეკორი. შემოდგომა იყო. მთელი ღამე ვიარეთ. ქუთაისი ჩავიარეთ და დუქნები ჯერ კიდევ არ იყო გაღებული. გავესრით და ს. ოფიჩხეთს ერთ სამიკიტნოს წინ ჩამოვხდით. გეშოდა. მედუქნეს საქმელი მოვთხოვეთ. გვითხრა: ხარჩო მაქვს, პური და ღვინო კარგო. დუქანში შევედით, ცოტათი ცოდა და ცეცხლი ენთო. იქვე სოფლური სუფრა დაგიდგა ცეცხლის პირას და შამოუსხედით. პური და ღვინო კარგი მოგვიტანა. ცეცხლის პირას ქოთნიდან ხარჩო ამოიღო, ცხელი წვნით. გაგვიკვირდა, რომ საინზე მარტო ძვლები იყო წვეწმინდა და ხორცი ძალიან ცოტა. ვკითხეთ, სხვა, თუ გაქვს რამე საქამადი-თქვა. მარა ვარი გვითხრა. დავალბეთ პური ცხელ წვეწმინდაში, თან კარგი ღვინო მივაცოღეთ და დაენაყრდით.

ერთმა ჩვენმა ამხანაგმა გალობელმა, არჩილ გეგეკეკორმა, ჩვენს საინზე რაც ძვლები იყო თავის საინზე, დაყარა. მართლაც, რომ აივსო დიდრონი ძვლებით, ასწია და მასპინძლის ხარჩოიან ქოთანში ჩაყარა. —რას შვები, ბატონო, რას შვებო, მასპინძელმა უთხრა წყენით. —რა გაწუხებს, ჩემო ძმაო, ხორცი მაგახე არ იყო და ძვლები ისევ ხელუხლებელიაო; გამეიარს ვინმე და კიდევ მიყიდო. ეს ხუმბრობა მასპინძელს დიდათ არ წყენია და გულში, ვგონებ, კადკავ დაუჯდა ეს რჩევა; ჩვენ-კი ბევრი ვიცინეთ.

შევჯექით ცხენებზე და ს. მექვენას ავედით. ვკითხეთ: ყდ საღვდელი გაბრიელი, რომელ მხარეზე ბძანდება, სარევიზიოთ, თუ იღით-თქო. გვითხრეს: ამელამ დღნორისას იქნებო... გზა გვასწავლეს და ჩვენც იმ მხრით წავედით. რიო-

ნის გაღმა გავედით ბორნით ღ, როცა სოფელში შევედით, ვკითხეთ: რომელ დღნორისას არის ამელამ გაბრიელი ღ ან, სად ძვეს დღნორი-თქო! გვითხრეს: დღნორი არ ვიცითო და დღნორისა, ბატონო, სოფელის სახელია ღ იმიტო გეტყოდენ, ეპისკოპოზი დღნორისას იქნებო. გაუგებრობისთვის აქაც ბევრი ვიცინეთ. ბოლოს, ასათიანი ბლადოჩინისას მიგვასწავლეს, ღ ყოვლად საღვდელი იქ დაგვხვდა

სალამო იყო, რომ მივედით. იმერეთიდან გალობელი ნიკო მემძარიაშვილი ეახლა ღ კიდევ სამი კრებულთაგანი. *) ჩვენი შესვლა ყველას ძალიან იამა, რათგან ყოვლად საღვდელი მეორე დღეს მწირველათ ყოფილიყო მიწვეული ღ ჩვენ რომ არ მივსულიყავით, ისე ვერ წირავდენ. ჩეორე დღიდან ათი წირვა შეგვხვდა დღეგამოშვებით. ყოვლად საღვდელი, თან რევიზიას მოახდენდა ეკლესიებზე და თან ნაწირეც ყოველთვის ქადაგებდა, რაზედაც აუარებელი ხალხისწრებოდა. დღეში ხუთ-ექვს ეკლესიას მოივლიდა და ყოველგან ქადაგებდა. რამდენ ეკლესიაზე მივიდოდა: 30, 40-ს მაინც წაუკითხავდა შენდობის ლოცვას (მიცვალებულის პატრონები თხოვდენ.) ბლადოჩინი თითოსგან თითო მანათს უგროვებდა. ყოვლად საღვდელი გაბრიელი, ამ შენდობის წაკითხვაში აღებულ ფულს საქველმოქმედო საქმეზე ხარჯავდა სულ, რომლითაც არა მცირე თანხა გროვებოდა წლის განმავლობაში.

წირვის, ან პანაშვილისთვის, ვინც და რასაც აჩუქებდი, ნახევარს კრებულს აძლევდა და ნახევარი თვით მიქონდა. ასე ლეჩხუმში რევიზიის გათავების შემდეგ, ერთხელ, ნახევარი შემოსავლიდან 7 კაცს 800 მანათი გვერგო....

ერთხელ, ლეჩხუმიდან დაბრუნებულ ყოვლად საღვდელი გაბრიელს, სოფელ შექვენას ზემოთ ეკლესიაზე მრავალი ხალხი დახვდა. ყოვლად საღვდელი იქადაგა და იქვე სკამზე ჩამოჯდა დასასვენებლათ. ეკლესიის გაღაგანში

*) სოფლის სახელის შესახებ ჩვენი გაუგებრობა უამბეთ და ბევრი იცინეს. იმათაც ასე გვითხრეს: დღეს ჩორთისას ვიყავით და ახლა დღნორისას ჩამოვედითო (ჩორთისა სოფლის სახელია).

ხუთიოდე მამალი დაინახა. იცოდა, რომ ეკლესიის ახლოს სოფელი არ იყო და ღვდელს კითხა: ეს მამლები საიდან არის აქაო. ღვდელმა მახსენა: ამ ეკლესიაზე მამლების შეწირვა იციან, სხვა და სხვა ადგილიდან მლოცველებმაო. შეწირვენ და, მერე, გაუშვებენო. დადიან ასე, სანამ ტურა, ან ქორი ასე შეჭამსო... მერე, რატომ არ დაიჭერთ, არ ვაყიდით და ეკლესიას არ ასარგებლებთო? უბძანა ღვდელმთავარმა. ღვდელმა მოახსენა: ჩვეულება არ ვახლავთ და ხატისაც ეშინიათო. ყოვლად საღვდელმთავარმა უბძანა: დაიჭერინეთ, რამდენიც მოასწრო. მართლაც, გამოაკიდეს ბავშვები და 12 მამალი დაიჭირეს (ახალგაზდა-ყვანილები). ყოვლად საღვდელმთავარმა ექვსი აბაზი გადასცა ღვდელს ეკლესიისთვის და უბძანა, რომ შეწირული მამლები ყოველთვის გაეყიდათ და ფული ეკლესიისთვის შეენახათ.

ყოვლად საღვდელმთავარს თავის ფარეშს უბძანა: თითო ქათამი ყველა კრებულს შამოუსკიცუნებზე და ქუთაისს წამოიყვანეთო. კრებულმა ყველამ იუკადრისა წამოიყვანა. მარა ყოვლად საღვდელმთავარს ბძანება ვერ უარყვეს. თითო თითო ყველამ შამოიყვანა ცხენზე. ერთი დიდი მამალი გალობელს მემძარიაშვილს შამოუსვეს ცხენზე, რომელიც ყველაზე უფრო უარყოფდა ამ ბძანების ასრულებას. ბოლოს, ისიც დამშვიდდა და ხუმბრობაზე გადავიდა საქმე. მემძარიაშვილის მამალმა გზაში, ერთხელ, შეიფართხალა, ფეხზე დადგა უნაგრის უკან, და ისეთი ღონიერათ დაიყვილა, რომ მეტი სიცილით კინაღამ ცხენებიდან გადმოვცვინდით. ყოვლად საღვდელმთავარს წინ მიბძანდებოდა, რათგან ცალიერმა ეტლმა ჩამოგვიარა და შიგ ჩაბძანდა. მისი ცხენი — კი ფარეშმა მარჯაფათ წამოიყვანა. ჩვენ დაგვიბარა: ნამახვანში შოგიცდითო. ნიკო მემძარიაშვილს გძელი წვერები ქონდა და ამის მიზეზით და თან ქათამი რომ მოყავდა, კრებულმა ხუმრობით ხახამი დაარქვა. დაუწყეს გაჯავრება: ხახამო, შენტვის მოგება არის: ამ მამლებს ყველას შენ დაგაკლევებენო... ასე, ამ მახსრობით ნამახვანსაც მივაწიეთ. მისვლისას, ყოვლად საღვდელმთავარს უბძანა თავის ფარეშს: სამი ქათამი

მი დაკალით; ერთი ჩემთვის და ორი კრებულს აქამეო. ეს ამბავი, როცა ვაიგო კრებულმა, ნიკოს დაუწყო მახსრობა: აბა, ხახამო, დაკლა შენი საქმეო... ნიკომაც ამოიღო ხანჯლის მეორე გვერდზე ჩარქობილი დანა, რომელსაც მუდამ ატარებდა, წაუსვა ხელი და, სამის მაგიერ, სულ ყველა დაკლა. მე, თუ ხახამივარ, ამის პასუხი აწითქვენ აგეთო. ყველას გვეწყინა. მარა რალას ვიხამდით. ვაფცქვენს ყველა, ზოგიც შეწვეს და ზოგიც მარბილ წყალში მოხარჩეს. მსახურმა, წინდაწინ ამის თქმა ვეღარ გაბედა და სადილათ ყოვლად საღვდელმთავარს ერთი შემწვარი და ერთი მოხარჩული მიართვა. ყოვლად საღვდელმთავარს უთხრა: მე ერთიც არ მინდა თლად და კრებულს მიუტანეო. ბიჭმა მოახსენა: ბატონო, იმათ ქათმების მეტი, რა აქეთო... როგორ, რამდენი დაკალითო? მოახსენა: თქვენ სამის დაკვლა ბძანეთ და ნიკო მემძარიაშვილმა — კი, ყველა ერთად დაკლაო.

ყოვლად საღვდელმთავარს მეტათ ეწყინა... ნასადილვეს ცხენით წაბძანდა ქუთაისს, რათგან ეტლი რალაც ნაირათ დაზიანდა. წინ ყოვლად საღვდელმთავარს მიბძანდებოდა და უკან — კრებულს ცხენებითა ორი ვერსი გზა ისე ვაივარეთ, რომ არავისთვის ხმა არ გაუცია, რომელსაც გზაზე საუტხოოთ ასიამოვნებდა გართობა და ამბის მოსმენა.

აგერ, ძალიან გვიან, მემძარიაშვილმა გაბედა საჩუმის დარღვევა. ყოვლად საღვდელმთავარს გასაგონათ დაიწყო: კრებულს ყოველგან რომ ოხერი არის, არის და არისო. ამათ მორჯულლებს ქრისტე ღმერთი რომ გამოცხადდეს, ვერ მოახერხებსო... ამ ოხრების ბრალი იყო, თორე რაში დაგაკლავდი ამდენ ქათმებსო. ყოვლად საღვდელმთავარს წყენით უთხრა: რა ეშმაკმა დაგაკლევინა ამდენი ქათამიო. სამი და ოთხი ქათამი არ გეყოფოდო!!.. თქვენი მალღი არ გამიწყურეს, ბატონო, ქამისთვის არ დამეკლასო; მთელი დღე, რაც გზაზე ქათმები მოგვყავს, არ მომისვენებს, სულ ხახამს მიძახოდენ. აქ კიდევ ქათამს, რომ ეკლავდი, დამაყურეს სიცილი: ხახამი და ხახამიო და მე მარ-

თალია დიდი წვერები მაქვს, მარა მართლა ხა-
ხამი ხომ არა ვარო... გული მომაყვანის და
ყველა, იმიტო დავკალიო. ეპისკოპოსს ხახამის
დარქმევაზე სიცილი აუტყდა. თუმცა წინათ
ძალიან ითმინა, მარა, ბოლოს, ისე ხმამალა
დაიწყო სიცილი, რო ჩვენც, რა საკვირველია,
ბანი მივეციო და საქმე შვიდობიანათ დასრუ-
ლდა.

* ნაკომ უთხრა: გადავიხდი, ბატონო,
თუ იმდონი მამლები ვიშოვე, ხო კარგი და,
თუ არა, დედლებსაც გაურევე შიგ, რა უჭირ-
სო. ყოვლად საღვდელმამაც წაიხუმრა: კა-
რგი უქნიათ, რომ ეგ სახელი დაურქმევიათ
შენთვისო.

ამის შემდეგ, მხიარული მგზავრო-
ბით მშვიდობით ჩამოვედით ქუთაისს.

ბ. საჯავახოკლი.

Pose.

(მიბაძვა)

იქით შენა ხარ—აქით მე,
შეაში ჩამოდის მდინარე,
იქიდან აქაც მახარებს
მე შენი სახე მდინარე.
ოცნებით მონატრებული,
ცხადათა გაგიზიარე,
მე თუ ვერ მოვალ შენთანა,
შენ ჩემთან ხშირათ იარე...
ხიდი რო ჩატყდეს წყალზედა,
ვერ გამოხვიდე აქითა;
ერთი დღე დაგაგვიანდეს,
ვერ დაგინახო თვალითა,
ხო დანაგული-ჩაგრული,
შენზე დარდით და ფიქრითა,
შენს უნახავათ, ვით გავძლო,
ამ „მდინარე“ ზღვის იქითა...

გნახავ მეორე ნახვამდი,
მუდამ ვარ გულის ძგერიოთა,
თვალეზი მეცრემლებიან,
მარად შენ გზისკენ ცქერიოთა.

გული მიმიწვეს შენსკენა,
უნდა წამოსვლა ფრენითა,
რა-კი არ ძალუძს წამოსვლა,
აქ გელის მოთმინებითა.

ქ. არმავირი. 1916 წ.

სანდრო მეგრელი

საპურათლეგო ამბავი

წერა—კითხვის საზოგადოების გამგეობას
ცნობა მოუვიდა, რო შარშან აპრილში გარდა-
ცვლილ თავ. ვახტანგ გურიელს მთელი თვისი
უძრავი ქონება უანდერძებია წერა-კითხვის სა-
ზოგადოებისთვისო. ცნობის მომწოდებელი ურ-
ჩევდა გამგეობას მიეღო ღონისძიება, რომ ან-
დერძი ვადის გასვლამდი დამტკიცებულიყო და
ამ საგნის შესახებ მოლაპარაკება გაემართა გან-
სვენებულ ვახტანგის მემკვიდრეებთან. გამგეობამ
მაშინვე მოიწვია კრებაზე გამოცდილი იურის-
ტები და, მათის დადგენილების თანხმით, საგან-
გებო მოციქულები გაგზავნა სუფსაში განსვენ-
ებულ თავადის მემკვიდრეებთან. მოციქულე-
ბათ არჩეულ იყვენ ბ—ნნი ვ. ბურჯანაძე, კიტა
აბაშიძე და ს. მდივანი. მოციქულნი წარუდგენ
განსვენებულ ვახტანგის ქვრივს, კნენა ჯახანა
გურიელს დადიანის ასულს და მოლაპარაკება
გამართეს მასთან. კნენა ჯახანს გაუცხადებია
მოციქულებისთვის ანდერძის დამტკიცებისა და
იმ ვადის გასტუმრების შემდეგ, რომელიც მა-
მულს აწევს, იგი დიდი სიამოვნებით სისრუ-
ლეში მოიყვანს თვისი საყვარელი მეუღლის
სურვილს. ქუთაისის ოლქის სასამართლო ამ
დღეებში დაამტკიცებს ანდერძს. თავად ვახტა-
ნგის საკუთრებას შეადგენს: სახლი, სადუქნე
ვიწები სუფსაში, სახნავ-სათესი მიწები, ტყე და
საბალახე ადგილები. მთელი ეს ქონება ელი-
რება არა ნაკლებნი ათასი მანათისა. განსვენ-
ებულს შვილები არ დარჩენია.

ბატ. ლუკა ბახტაძის წერილების კამო.*)

(მოგონება.)

პატივცემულ ჟურნალ „ცხოვრებაში“ ამ უკანასკნელ დროს ბატ. ლ. ბახტაძის რამდენიმე წერილი დაისტამბა. ეს წერილები შეადგენენ მოგონებას ახლო წარსული დროიდან და შეეხებიან ჩვენთვის დაუეწიარო ადამიანების და საუკეთესო მამულის შევლების ძვირუფას ხსოვნას.

პირადათ მე, (ჩვენობით არ მოგახსენებთ) ამ წერილებმა ბევრი რამ, თითქმის მივიწყებული ამბები მომაგონეს, მომაგონეს. ისეთი რამ, რომელიც, რასაკვირველია, მე თვით დანამდვილებით ვიცი და ჩემი საკუთარი თვალით მინახავს.

რა თქმა უნდა, ამ ათი თუთხმეტი წლის წინათ ბ. ლ. ბახტაძის წერილების იმ ადგილს, რომელიც ზოგიერთების დახასიათებას შეეხება, არც ერთი ჩვენი ჟურნალ-გაზეთის რედაქცია ადგილს არ მისცემდა და ესეთი დახასიათების გავრცელება გაზეთის საშუალებით იმ დროს

თითქმის შეუძლებელი იყო**)... ახლა-კი სულ სხვაა და უნდა ითქვას, რომ ბ. ლ. ბახტაძე პირველია ჩვენს ჟურნალისტულ კამოში, რომელიც სამართლიანი სითამამით იხსენიებს მათ, ვინც იმდროს შეუხებლათ ითვლებოდნ და დღესაც-კი მათი მოქმედების სამართლიანი კრიტიკადიდს აურზაურს იწვევს მწერლობასა და საზოგადოებაში.

ბ. ლ. ბახტაძე გვიბძობს განსვენებულთ და ნეტარ ხსენებულთ ილია ხონელზე, ივანე მაჩაბელზე, ილია ქავჭავაძეზე, უკანასკნელთა შორის არსებულ ურთიერთობაზე დას...

ამ წერილებმა აღადგინეს ჩემს ხსოვნაში, სხვათა შორის, ერთი, სიცოცხლის დროს მეტათ განრისხული, სიკვდილს შემდეგ, სრულიათ მივიწყებული, მარა საკმაოთ ნიჭიერი კალმოსანი ადამიანი....

შეუძლებელია, ჩემი ფიქრით, განსვენებული ილია ხონელის ხსენებაზე, ეს ადამიანიც არ მოიგონოს კაცმა.

ესენი ორთავე ერთს დროს გამოვიდნ

*) დავით კეზელი, მიუტილებლათ, ნიჭიერი იყო. მარა იგი იყო უპრინციპო კაცი. მარალი არ წამდა... გაზეთ „შრომაში“ მან მწერლობაში გამოსვლისთანავე ილია ქავჭავაძეს უწოდა ზარმასი, პირდაპირ, ლუარსაბ თათქარიძე... შემდეგში, ზენატუროვის „Тиф. Лист.“-ში ილია ქავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის შესახებ, რომელნიც 90-იან წლებში ქართველი ინტელიგენციის უნიჭიერეს ბელადებათ ითვლებოდნ მთელ კავკასიაში, დავით კეზელი, გამწარებული ამპირებზე, ყოველ დღე დაურიდებლათ ათავსებდა მასხრულ წერილებს...

დაურიდებლობასთან განსვენებული, ძალიან თავდაუპყრობი იყო და ამან ისეთი საქმე ჩაადგინა, რომ არც ღირს ახლა ამანე ლაპარაკი...

ჩვენ მას, პირადათ, კარგათ ვიცნობდით. საცოდავი მწრომელი კაცი იყო. მისი პროფესიამ მწერლობა იყო. კალმის ზეტი არაფერი ემარჯვებოდა. მარა ცხოვრებამ ისე გაამწარა, რომ ერთხელ მითხრა: ქებას რომ მიწოდდეს კაცის, თავება, დასინჯა და ზიზღი ამომდის გულიდან ძალაუფებურათო...

ჰე! ბევრი რამ გვაქვს ამ კაცზე სათქმელი. მარა ჩვენ ახლა უღრმოება ნებას არ გვაძლევს დ. კეზელზე რამე დავწეროთ.

ხომდეკლი.

**) ჩვენ რედაქციას აუარებელი წერილები მოდის, სადაც გვისაყვედურებენ მწერლობის წმიდა, უსოდველ სამსახურს. მეტი გათახსირება და შეუუნებლობა მწერლობის მნიშვნელობისა გაგონილა?

ერთი ჩემი ნამხანჯარი, რომელიც ერთ დროს ქუთაისში ვიცეგუბერნატორათა-ს-კი იყო, მწერს: „ილია ქავჭავაძეზე, თუ ასე შეიძლება და წერა, ვერ წარმომიდგენია...“

ჩვენი თანამშრომელი ილიას ახასიათებს, როგორც პრინციპის დიდ ადამიანს, ევროპულ უღმობელ მამბოლს. ილია იყო დიდი მოტრფიალე იერინგის, რომელიც წერს, რომ კავკიის უფლებას-კი არ დაიბოუბოლვებლათო. ილია იყო კერძო საკუთრების დიდი იდეოლოგი (იხ. ჩემი წერილები ილიაზე). იმ დღეს, რა დღესაც მოკლეს ეს დიდი ივერიელი, მეუღლე მისი, კნენა ოღლა თადეოზ გურამიშვილის ასული, ემუღარებოდა: ნუ გავალთ ქალაქიდან, გავენებოთ საგურამის წასვლას თავიო. ილიამაც ისოდა, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულები იყვენ შეიარაღებული ბიჭები...

ჩვენ ყველანი მის, ალაგას გულგახეთქილი ჟურნალელით მოვეყრსხლავდით არა თუ საგურამოდან, თლდა საქართველოს არე-მარინდანაც, მარა ილია ტრტიათა ანარხის არ უთმობს თავის საკუთრებას და ბძოლას არ გაქსევი ქალაჩუნა ლაჩარეით. ილიამ ბძოლაში უკან დახევა არ ისოდა. „ლომია, ოდეს გან-

სამწერლო ასპარეზე, თითქმის ერთგვარი მომზადებით, ერთის აზრის და შეხედულობის მქონებელნი, ერთ ნაირათ კალმის მხმარებელნი... მგონია, რომ ორივე ესენი ერთს მიზანს ემსახურებოდნენ, ორთავეს მიზანი — კი, ჩემი ფიქრით, უზომო წმიდა და ფაქიზი იყო, ორთავე ერთ გვარი იარაღით დაურიდებლათ ებძოდნენ უსამართლობას და ამ უსამართლობის დამკანონებელ ღმერთებს...

ბედნიერი არც ერთი ამათგანი არ ყოფილა ცხოვრებაში... მარა გარჩევა ამ შხრით — კი დიდი იყო მათ შორის. — იღ. ხონელი სიცოცხლეში ყველასთვის დიდათ საყვარელი, ყველასთვის დიდათ სასურველია; იმ დროის ქართულ — რუსული ჟურნალ-გაზეთები მუდამ ებატოებთან, იწვევენ, თხოვენ თანამშრომლობას... იმ აღამიანს — კი, რომელიც მე სახეში მყავს, ჩვენი ჟურნალ — გაზეთების მესვერნი სდევნიან, კარს უზღობენ; მის ნაწერებს ადგილი არა მქვს, მან არ იცის, რა ქმნას, ვის მიეკედლოს. ბედი მას ამასაც არ აკმარებს: სასამართლოს განჩინებით, მას აშორებენ თავის სამშობლო

რისხდეს“¹, წერდა იმაზე ნიკო დადიანი... ასეთი იყო იგი მაჩაბლის პარტიასთან ბძოლაში. ასეთივე დარჩა იგი სიბერის ეპოსაც, უდიდეს აგარაულ მოძრაობის დროს, როდესაც მოკლეს იგი ყაჩაღურათ... მარა ამით ხომ უფრო შეუქურ ვარსკვლავით გაბწყინდა იგი და გააშუქა თლად საქართველო.

ახლა ჩვენთვის ვიკითხოთ: პირადათ, ილიას რათ უნდოდა ბძოლა ამ მოხუცებულობის ეპოს მაინც? იგი იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი, რომელსაც წლიურათ 10000 მან. მეტი ეძლეოდა. ამას მიუმატებ ბანკის პენსია, წავიდოდი და ვიცხოვრებდი სიამით პეტროვგრადში. განა ილია პირად, საკუთარი სიამოვნებისთვის იყო გაჩენილი? იგი ერთგორსაც არ დაუკარგავდა თავისსაყვარელს საქართველოს. თავის ქონებიდან. მთელი რივისი საკუთარი სულიერი და ნივთიერი საუნჯე, დოვლათი მან უანდერძა ქართველობას, მიწაში ხომ არ ჩაუტანია, არც მახლობელ თავისიანებისთვის გადაუტია საფლანგავათ.

რა უნდა დააკლდეს ილიას დიდ სახელს და ამავს, რომ მასზე სრულის სინამდვილით იწერებოდეს ყოველი ამბავი?

აქვე მოვახსენებთ იმასაც, რომ ჟურნალი „ცხოვრე-

ქვეყანას... დიდი გაკვირებით, მუდამ მტირალი თავის მშობლიურ არე-მარეზე, ის ნელ-ნელა დნება უცხოეთში... დასასრულ, თავისუფლების ზარმა მისთვისაც დაკრა: ის დაბრუნდა.. იბძოლა კიდევ რავდენიმე ხანს და... გარდაიცვალა ტრადიკულათ...

დარწმუნებული ვარ დაკვირებული მკითხველი მივიხვდა, რომ მე სახეში მყავს განსვენებული დავით ივანესძე კეხელი (დავით სოსლანი — ზოილი).

რამდენათაც მახსოვს, პირველათ მისი ორი წერილი დაისტამბა მაშინდელ ქუთათურ გაზეთ „შრომაში“, მგონია, 1881წ. ¹) ამ წერილებმა გადაწყვიტეს მათი დაურიდებელი ავტორის მომავალი, მათ არგუნეს მას წყევა-კრულვა და დევნა და ამ წყევა-კრულვა და დევნამ კიდევ გაჭრა მახე და თან სდევდა მას თვით სამარემდი...

ამ წერილების სათაური იყო: „წერილი ტარიელისა ფრიდონთან“. ტარიელი, უამბობდა ფრიდონს თავის მოგზაურობას არაბეთში (საქართველოში), აწერდა თითოეულს მაშინდელს გამოჩენილ არსებას (ქართველებს). ეს აწერილობა (რასაკვირველია, კეხელისებური) მოსაწო-

¹) „შრომა“ კვირული გაზეთი იყო და გამოდიოდა ქუთაისში. ამ გაზეთს საუკეთესო ხელმძღვანელები ყავდა. რედაქტორათ — კი ითვლებოდა დიმ. დადიანი. გაზეთი საქმათ გაცელებული იყო მთელ საქართველოში. მარა ხელმძღვანელებმა ვერ შეძლეს მთავრობის პირობების შესრულება და იძულებული გახდნენ გაზეთის გამოცემა მოესპათ. (გაზეთი ქუთაისში გაცლიოდა და ცენზურა — კი თფილიში მიუჩინეს.)

თ. თ.

ბა“ კერძოთ რედაქტორის, ან რომელიმე ჯგუფის სათარაშო იარაღი არ განლავთ, რომ მარტო მათი სურვილები და გულის თქმანი გამოხატოს შიგ ფანტიკურათ... ჟურ. „ცხოვრება“ სრულიად დამოუკიდებელი, თავისუფალი კრიტიკის ორგანოა, სადაც ყოველი ნიჭიერი კალმოსანის აზრსა და წერილს აქვს ადგილი დათმობილი.

თუ ვისმე რამე სათქმელი აქვს, ჟურ. „ცხოვრების“ სტატიების ავტორთა წინააღმდეგ, კეთილ ინებონ თავიანთი აზრი, დასაბუთებული, კარგ ლიტერატურულ ფორმებში გამოხატული, მოგვაწოდონ. დიდი სიამოვნებით დავსტამბავთ წინააღმდეგ წერილებსაც, რომ ჭეშმარიტება გაშუქდეს, დიდ ბუნებოვანი, დიდი ფსიქილო-

ნი არ შეიქნა მათთვის, ვისაც ის შეეხებოდა და ამან კიდევ გამოიწვია ის, რაც მე ზევით მოგახსენეთ, ე. ი., სრული განდევნა დაეკეხე-ლისა.

იმ დროს ჩვენში საჯარო ლექციების კითხვა და სხვა ამის გვარი რამ იშვიათი მოვლინება იყო. დ. კეხელმა სცადა, სამსახური გაეწია საზოგადოებისთვის ამ მხრით და კიდევ წაიკითხა ერთი ლექცია ქუთაისში დავით გურამიშვილის პოეზიაზე. საზოგადოება ამ ლექციას ბევრი დაესწრო. მარა ამ საჯარო გამოსვლამ იმ დროს ზოგიერთი ქუთაისური და თფილისელი მეკალმეები ამხედრა ლექტორის წინააღმდეგ და ისინი ერთხმად ჩიოდნენ: „... კეხელმა ახალთაობას სახელი გაუტეხა... ვინმე ახალგაზდამ, რომ მოისურვოს ჩვენში ლექციის წაკითხვა, საზოგადოება ნდობით არ შეხედებაო“ და სხ...²⁾.

ასე გაშინჯეთ, რომ ისეთმა წვრილფეხმა ციკი დასწიხლა კეხელს ამ ლექციისთვის, როგორც იყო გაზეთი „დროების“ მაშინდელი

2) მაშინდელი „დროება“.

თ. თ.

გიური ტიპის ადამიანები გამოირჩევენ და აიხსნას შემდეგი თაობისა და მოღმცისთვის. დროა შეიგნოს ქართულმა საზოგადოებამ, რომ ქართულ მწერლობას სერიოზული ხასიათი მიეცეს და არ იყვეს იგი პირტიტველ უსაქმურთა და რძენაწყენთა სათარეზო, ერთი მეორეს სალანძღავთ და მომაბეზრებელ რამეთ.

ჩვენ მწერლობაც სწორეთ ასე გვეხმის...

და ეს ჩვენი ცრემლი გამოვთქვით შარშანვე, ჩვენი ჟურნალის პირველსავე ნუმერში:

„ჩვენ არ მოვერიდებით არც ზიზღს და მძულვარების გამოთქმას, არც აღტაცების და ენტუზიაზმის გამოხატვას. არ დავფრიდებით, რათგან დარწმუნებული ვართ, რომ მძულვარების, ზიზღის, ან აღტაცების და ენტუზიაზმის ნიჭიერათ გამოხატვა ლიტერატურაში ძალიან დიდი და მაღლიანი საქმეა, თუ ამას ვიწრო პირადი-კი არა, საზოგადობრივი ხასიათი და შინაარსი ექნება... სწორეთ ამიტომაც, ჩვენთვის სულერთია, რომელი პარტიის ნიჭიერი მწერალი გამოთქვამს ჩვენს ჟურნალში ამ ზიზღს და სიძულვილს, აღტაცებას და ენტუზიაზმს...“

სომეჯელი.

ერთათ ერთი ქუთაისური თანამშრომელი ბ. ჟ. ^(ილ შეიქნა ირია ჭყეზელი 21.11.16)

მე მკონია, დიდათ შემცდარი არ ვარ, როდესაც ვფიქრობ, რომ ეს აურ-ხაური, ძაგება, ჩივილი და სხ. გამოწვეული იყო არა ლექციის მართლაც და უვარგისობის, (უკეთესი ლექცია მანამდი ბ. ჟ. აბა, ვისგან მოისმინა ქუთაისში?), არამედ სულ სხვა მიზეზით: ლექტორს არა თუ ლოცვა-კურთხევა არ ქონდა მიღებული მაშინდელი

3) „დროების“ თანამშრომელი.

ბ. ზ მცირე სწავლის პატრონი იყო და გაზვიადებული არ იქმნება, ჩემი მხრით თქმა, რომ მას არც კრიტიკოსობა, არც რეცენზენტობა შეეძლო.

(Handwritten note: ილ შეიქნა ირია ჭყეზელი 21.11.16)
თ. თ.

„კერპებისგან“, — დაწყევლილი, დაკრულილი იყო მათგან ადრევე და ეს გარემოება სრულიად საკმაო იყო მაშინდელ კრიტიკოს რეცენზენტების საზომისთვის...

ერთ დროს — თუმცა მოკლე ხანს — კი დავ. კეხელის მდგომარეობაც მისთვის სასურველათ შეიცვალა. აუტანელი კეთილშობილი შრომით უიმედოთ დაავადებულმა სერჯეი მესხმა დაუძღურებულის ხელიდან კალამი გაუშვა და გამოესალმა თავის საყვარელ „დროებას“. რედაქტორობა იკისრა ივანე მაჩაბელმა, რომელიც მანამდი ილია ჭავჭავაძესთან ერთად ჟურნალ „ივერიას“ რედაქტორობდა. ეს იყო 1888 წელს.

რედაქტორმა — ივ. მაჩაბელმა განახლებული რედაქციის წევრათ დავით კეხელიც მიიწვია და მანაც გაშალა სიხარულის ფთა...

იგი დაუღალავათ და დიდი სიყვარულით ეწეოდა ყოველ დღიური გაზეთის შრომას... მაშინდელი „დროება“ თავის სიცოცხლით, და განსაკუთრებით, სითამამით სახსენებელია... გაზეთმა ყველაზე პირველ ჩვენ მწერლობაში. მანამდი არსებული „ნათელ მირიანობა“ მოსპობილათ გამოაცხადა... გაზეთი გაიხარდა.. გაზეთი ბასრი კბილებით შეიარაღდა და სადაც სი

ქირო იყო, ძალზე იკბინებოდა.. ყველა ამის დამტკიცებას გაზეთ „დროების“ იმდროის თი თოული ნუმერი იძლევა... მარა ხანგძლივი არ შეიქნა დაე. კეზელისთვის ეს ოქროს ხანა და ჩვეულებრივმა „ნათელ-მირონობამ“ კვლავ იჩინა თავი „დროების“ განახლებულ რედაქციაშიც..

ეს მოხდა ამ გვარათ. 1884 წ. ჩვენი ნორჩი დრამატული დასი საზაფხულო არტისტულ მოგზაურობას ეწეოდა.. დასი ბათომში მართავდა წარმოდგენებს. „დროებას“ ბათომში იმ დროს საკუთარი წარმომადგენელი ყავდა, ვინმე მ—ლი, ადამიანი პატიოსანი და მასთან ძლიერ დაკვირვებული. მ—ლი რეცენზენტობდა მდა დასის მიერ დადგმულ წარმოდგენებზე „დროებას“ ანგარიშებს აწვდოდა ...

ეს ანგარიშები, რასაკვირველია, ყველას ვერ დააკმაყოფილებდა და ყველაზე უფრო ამ ანგარიშების მომდღურავი იყო განსვენებული წერალი, ალ. მოხევე (ა. მოჩუბარაძე, ალექ. ყაზბეგი.)

სასურველი შეიქნა ალ. მოხევისთვის არ დასტამბულიყო გაზეთში მ—ლის ანგარიშები ღ ამ მიზნის მისაღწევად მან შემდეგი დებუმა გაუგზავნა ბათომიდან „დროების“ რედაქციას: Если напечатаете, что М-ли пришлетъ, глубоко оскорбите“.

დ. კეზელი მუდამ რედაქციაში იმყოფებოდა, რაიმე მასალის დაბეჭდვა არდაბეჭდვა, თისაქმის მისი საქმე იყო და მან არა თუ მ—ლის ანგარიშები ბათომის წარმოდგენების შესახებ მოათავსა გაზეთში, თვით ზემო მოტანილი დეპეში ა. მოხევისა დასტამბა საგსებით და წინ წაუხმდღვარა რედაქციის წერილი, რომლითაც ერთხელ კიდევ გამობდა „ნათელ მირონობას“ მწერლობაში და თვით ა. მოხევესაც მოუფერებლათ იხსენიებდა.

არტისტული მოგზაურობა დასისა დასრულდა... და ალ. მოხევეც თფილისში დაბრუნდა. მან მოიწადინა გაეგო: რედაქციის რომელი წევრის კალამს ეკუთვნოდა მის შესახებ სარედაქციო წერილი და, ამის გაგების შემდეგ კი

დ. კეზელი იძულებული შეიქნა „დროების“ რედაქციას სამუდამოთ განშორებოდა.4).

მე დავით კეზელის (დავით სოსლანი) ბიოგრაფიას არა ვწერ. ამის მასალა მე არ მომეპოვება და თვით ჩემი დამოკიდებულება მასთან, როგორც შემთხვევითი, არ მაძლევს ამის საშუალებას. მე, როგორც თანამედროვეს, სამწუხაროთ მიმაჩნია ის გავლენა, რომელიც ქონდა იმ დროს ქართულ ცხოვრებაზე ერთ-ორს ფრიად ნიჭიერს, ქკვიანს, მარა გაღმერთებულს პირებს, რომელთა ლოცვა—კურთხევაზე დამყარებული იყო ახალგაზდათა მომავალი, რომელთა ერთს სიტყვას შეეძლო ესა, თუ ის გზა მიეცა ცხოვრებაში ახლათ გამოსვლისთვის..

მე მჯერა, რა დ. კეზელი ნიჭიერი იყო, ხოლო მან იმ თავითვე ვერ შეძლო თავიანი ეცა იმ დროს კერპებისთვის და მათმა რისხვამ ის დაღუბა.—

მჯერა, რა დ. კეზელს შეეძლო თვალსაჩინო სარგებლობაც მოეტანა, რა მისთვის გზა არ გადაეჭრათ.

ვერ შევთვისა ის უბედური მათ, ვისაც მარად კიცხავდა.. ის, რასაკვირველია, ძლეულ იქნა და კიდევ ტრადიკულათ დაიღუბა...
თავ—თეთრი.

„გზა სტუდენტებისა“.

(შენიშვნები).

დიდი-ხანია, რაც ბერლინში დაარსდა დე. მოკრატული სტუდენტების საზაფხულოთ „სტუდენტების სახლი.“

ძნელი არ არის იქ ასეთი სახლის დაარსება, სადაც სტუდენტობა კიდევ 19-ტე საუ-

4) ამის შემდეგ, ეს ორი ადამიანი: დ. კეზელი და ა. მოხევე ერთმანეთის მომდღურავი შეიქნენ და. მთელ თავიანთ სიცოცხლეში ერთმანეთისთვის წმაცადარ გაუციათ....

კუნის პირველ ნახევარში პირდაპირ მზა და მებრძოლი მასაა, როგორც იდეისთვის, ისე ყოველივე საერთო საქმისთვის. რუსეთის დემოკრატიულ სტუდენტობაში-კი ეს სრულიად ახალი ხილია რე ეს აზრი აღიძრა „კონსტიტუციის“ შემდეგ.

1905 წელმა შეაძლებია რუსეთის დემოკრატიულ სტუდენტობას და ყველა მისი ორგანიზაციის ეფექტა, როგორც პროფესიონალიზმზე, ისე პოლიტიკაზე. პოლიტიკა და პროფესიონალიზმი, აი, ის ორი დიდი მუხლი, რომელიც აერთიანებს სტუდენტთა ორგანიზაციებს. ამიტომაც, ამ იდეით გამსჭვალული სტუდენტობა შეუდგა დღეს ისეთ საქმეს, რომლის ბაღალი მთელ ევროპის საუნივერსიტეტო ქალაქებშიც არარი. დღეიდან შეუდგა რუსეთის დემოკრატიული სტუდენტობა ისეთ საქმეს, საითყენაც ყოველივე მებრძოლი სტუდენტის სულიერი განცდა ისწრაფვის, მალე შეასრულოს თვისი ნაკისრი საქმე რე მალე დაარსოს მოსკოვში „დემოკრატიულ სტუდენტობის სახლი.“ აი, ის დიდი მიზანი, რომელიც მას თავს დატრიალებს. ამ მიზნის გასახორციელებლათ იანვარში 1916წ. გამოიცა მოსკოვში სტუდენტების სახელით და დახმარებით სამას გვერდიანი წიგნი „გზა სტუდენტებისა.“ ეს წიგნი მაშინვე დაიტაცა, როგორც სტუდენტთა ორგანიზაციებმა, ასე კერძო პირებმა. წიგნი სუფთათაა გამოცემული, ბევრი საგულისხმო საკითხია, როგორც ძველ-ისე ახალი ხანის სტუდენტებისა და ღირს იმ. 50კ., რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდვა „სტუდენტთა სახლის“ ფონდის გასაძლიერებლათ.

ახლა-კი ნება მიბოძეთ, რო გავაცნო მოკლეთ ქართველ-საზოგადოებებს, როგორც სტუდენტთა წმიდა მისწრაფება, ისე მათი ძველი და ახალი ხანაც.

სული, რომელიც აკავშირებენ ამ წიგნის ყველა სტატიებს, აღგვიძრავს ერთ-მთლიან აზრს, უმაღლეს შკოლაზე, მას გამოცანაზე და ადასტურებს სტუდენტობის როლს რუსეთში. აი, ეს არის ამ წიგნის აზრი. ამ აზრმა მიიღო უფლება მოქალაქობრიობისა, საზოგადო აკადემიურ ცხოვრებაზე დემოკრატიულ პროფესიონალიზმის სახელით, რომელიც

მოგვევლინა სინტეზათ პოლიტიკისა და წმიდა პროფესიონალიზმისა.

უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი პოლიტიკური ცვლილება, მხოლოდ და მარტო კონსტიტუციონალურ სახელმწიფოში შეიძლება. არაკონსტიტუციონალურ სახელმწიფოში, ახლანდელ ტიპს სტუდენტისას არ შეეძლო გავითარებია პროფესიონალური კავშირი თვისი საზოგადო მოქალაქობრივი მისწრაფებით. რუსეთში 1905 წ. შემდეგ, სტუდენტების პოლიტიკური გამოსვლა მეორე ხარისხოვანი იყო. შემდეგ, ისიც ცხადი იყო, რო მოხდა მათშორის გამოყოფა (გამოყოფა, ან გამო სვლა. კურსისტები გამოეყვნენ სტუდენტებს. იხ. Вѣстникъ Студ-ва 1907 г. № 1).

ასეთმა თავისუფლებამ დაანახა რუსეთის სტუდენტობას, თუ როგორი ფართე პერსპექტივები შეეძლოთ შეეტანათ უმაღლეს შკოლის საქმის წარმატებაში, დაანახა, რო მათ ადვილათ შეუძლიათ ააგონ უმაღლესი შკოლა დემოკრატიულ პრინციპზე. ყოველივე ამას ხელი შეუწყო ავტონომიურ შკოლაში მყოფ პროფესორთა და სტუდენტთა შორის დაარსებულმა ღრმადა მჭიდრო კავშირმა.

აი, ის გარანტია, რომელიც უმტკიცებდა სტუდენტობას, რო საქმის ძირითად გარდაქმნაში დემოკრატიული სტუდენტობა უნდა ენდოს მხოლოდ რე მარტო თავისთავს.

უნდა ვთქვა, რო ფუქია ყოველივე ასეთი ცდა სტუდენტობისა იქ, სადაც სახელმწიფო რეაქციონურია, სადაც სახელმწიფოს არ ესმის, თუ რა არი და როგორია თავისუფალი აღზნა და განათლება თავისუფალ სახელმწიფოში. აბა, რაუნდა გამოვიდეს ისეთხალხისგან, როგორიც იყო სწავლა-განათლების მინისტერი კასლო. ის დიდებული მემარჯვენე იყო, პირ-დაპირ ამ სიტყვის მნიშვნელობით, მონარქისტი, რომელმაც უნივერსიტეტს ავტონომია წაართვა. აი, ის უზარმაზარი პოზიციები, რომლის წინააღმდეგ, დიდიხანია, სტუდენტობა იბძვის. ასეთმა მტრობამ და შურმა, სახელმწიფოს მხრით, გამოიწვია სტუდენტებ შორის უსიამოვნება. სტუდენტები არ კმაყოფილდებოდნენ თავიანთი პროფესიონალური კავში-

რით, ისინი ეკედლებოდნენ და ეწერებოდნენ წევრებათ დიდ საზოგადო პოლიტიკურ წრეებში, სადაც იხენდნენ დიდ ენერჯიას, რომ თვისი საქმე მიეყვანათ უკიდურეს დემოკრატიულ პრინციპამდე. თუ ამ პრინციპს სტუდენტები ატარებდნენ ცხოვრებაში და ახორციელებდნენ, ეს არაარის არც საშიში, აც უკიდურესი რამ. დემოკრატიული პროფესიონალური მოძღვრება არ არი პარტიული, და მას მიზნათ აქვს უხელმძღვანელოს სტუდენტობას თვისი საზოგადო პოლიტიკურ ცხოვრებაზე იმდენათ, რამდენათაც მის კითხვებს აქვს კავშირი უმაღლეს შკოლასა და სტუდენტობის ცხოვრებასთან. ამიტომაცაა, რომ დემოკრატიულ-პროფესიონალური მოძრაობა, არცერთი პარტიის წინაღმდეგი არარის, რომლებიც უარყოფენ ლოზუნგს: „დემოკრატიული შკოლა დემოკრატიულ სახელმწიფოში“ —.

პროფესიონალურათ შეერთება (შეკავშირება) სტუდენტებისა პირველათ გამოთქვა სტუდენტების ორგანომ (Вѣстникъ Студенческаго Четаства. Москва 1907г. № 1, 2). ეს იდეა გადაამუშავა და ვაავითარა თავის მეთაურმა აწინავე სტატიაში „სტუდენტების ხმა“ („Голосъ Студентовъ Москва 1910-11 годы) შემდეგ-კი, პროპაგანდას ეწეოდა ჟურნალი „სტუდენტების საქმე“ („Студенческое дѣло. Москва, 1912-13г.) უნდა აღვნიშნო, რომ იდეა დემოკრატიულ-პროფესიონალიზმისა არ იყო თეორიული ნააზრევი: იგი ლოდიკურათ დაიბადა სტუდენტების ბძოლის პროცესში, ძირითად უფლებისთვის უმაღლეს შკოლისა და დანახა გიმოძახილი თვისივე წრეში, უფრო ძლიერ-კი იმ ეკონომიურ ორგანიზაციებში, რომელთა საზოგადო — პოლიტიკურ როლს ხაზს უსობდნენ სტუდენტთა ზემოაღნიშნული ორგანოები. „სტუდენტების საქმე“ („Студ. дѣло“) სწორეთ იმ ეკონომიურ ორგანიზაციების ხარჯით და იმათი ხელმძღვანელი სარედაქციო კომიტეტით გამოდიოდა. სწორეთ ამავე დემოკრატიულ პროფესიონალურ მოძრაობამ, ორიწლის წინათ, აღძრა საკითხი სტუდენტების წიგნის გამოცემაზე, („Студ.

Сборникъ.“), რომელსაც მიზნათ ქონდა აღვნიშნა სულ სხვა თვით-მოქმედების გზა სტუდენტობისა. მარა თანამედროე ომმა ძირიან-ფესვიანა გადააბრუნა, როგორც ეკონომიური ცხოვრება, ისე პოლიტიკური და ზნობრივი ცხოვრების დღიურისაკითხები და შავი ძაძა გადააფარა უმაღლეს შკოლის ბედ-იღბალსაც. ასეთ დასკვნას უნდა გავაღვადო, როგორც საზღვარ-გარეთ, ისე ჩვენშიაც, რუსეთშიაც სტუდენტობა, რათგან ცხოვრებამ წამოაყენა შინაური საგულისხმო მოთხოვნების საკითხები.

უეჭველია, ცხოვრების მრავალგვარს საკითრთა შორის უნდა გარჩეულიყო ერთი პატარა საკითხიც. საკითხი საზოგადოების მეორე ნაწილისა, დემოკრატიის პატარა ნაწილისა, რომელიც დიდი ხანია, გულს აწვა და ახლაც აწევს ლოდი ჩაგრულსა... ეს იყო საკითხი სტუდენტთა სახლის შექმნისა.

უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი წიგნის გამოქვეყნება არ არი წინააღმდეგი იმ აზრების და მიმართულების, რომელსაც ადგილი აქვს დემოკრატიულ სტუდენტობაში. ეს სტუდენტობა ერთგვის ვათვითცნობიერებას. ერთი შემთხვევა კიდევ უფრო გვაძლევდა ნებას, რომ ეს წიგნი დაჩქარებით გამოსულიყო, რათგანც იმ რეფორმებში, რომელიც უკვე დაისვა მორიგ ქალაქის უფლების ინიციატივაში, იყო აღნიშნული სხვათა შორის, რეფორმა უნივერსიტეტისა. ეს რეფორმა განიხილეს სხვა და სხვა სამინისტრო დაწესებულებაში, უნივერსიტეტის რეფორმაზე, აკადემიურ წრეებში და პრესაშიაც.

ბუნებრივათ აღეძრა სტუდენტობას მისწრაფება, მათაც ამოეღოთ თვისი ხმა და გამოეთქვათ თვისი აზრი უმაღლეს შკოლის და სტუდენტების ცხოვრების რეფორმების აუცილებლობაზე. ამგვარათ, სტუდენტებს მიეცათ შეძლება, რასაკვირველია, სხვა და სხვა სათვისტომოების დახმარებით, გამოეცათ წიგნი, სტუდენტების პრინციპის მატარებელია ორგანო, სტუდენტების ცხოვრების სარკე, სადაც ბევრი სტუდენტი დაინახავს თავის სახეს...

უნდა მოგახსენოთ, ეს პირველი წიგნია და

მეორე წიგნის გამოცემას, რაც შეეხება, ვიტოვებთ უფლებას, შევეხოთ წიგნში თლად ნაციონალურ საკითხს.

ქ. მოსკოვი.

ს. ნინაშვილი.

ფელეტონი.

„შესწყდა ბინდისას ომი საზარი“...
გრ. ორბელიანი.

ბინდისას კი არა, ნაშვალამებს ძლივს გათავებდა ეს, მართლაც, სამახსოვრო „ომი საზარი“...

ჩვენს კურთხეულს საქართველოშიაც ზღაპრულად ბევრი კრება მინახავს, ბევრ შეკრებულობასაც დავსწრებივარ, როგორც აქ, ჩვენს „ქუთაისში“, ისე ჩვენს დიდ დედა-ქალაქ თფილისშიაც; მინახავს საზოგადოების, პრესის და სტუდენტთა, მოსწავლეთა დიდი სულიერი აღტაცება და ენთუზიაზმიც, რომელიც ჩვენს საზოგადო საქმეებს და დაწყევლილ საკითხებს გამოუწვევია. მარა ისეთი, როგორც რიცხვით, ისე შემადგენლობით და გულის თქმათა აღზნებით, როგორც ვნახე შაფათს, 2-ს აპრილს ქუთაისში, მე არ მინახავს და არც შევსწრებივარ ჯერ ამხელა კაცი....

ჩვენი საკუთარი ქვეყნის კულტურულ საქმეებით გატაცება სწორეთ ისეთი იყო, როგორც ამ ოთხი წლის წინათ, ვარლამ გელოვანის სახ. ღუმელში დებუტატათ არჩევის დროს იყო ქუთაისში და.. გული ჩემი სიამით ტკბებოდა ამ დაუვიწყარი სანახაობით...

თუ უწინ ილია ჭავჭავაძის, ვანო მაჩაბლის, დიმიტრი დადიანის და კალისტრატე ჩიკვაძის გარშემო და სახელისთვის ქუხდა „ბძოლა“, დღეს პირადობა გადაყენებულია, ზღოთხობია ისტორიას ჩაბარდა და საზოგადოების ენთუზიაზმი და აღტაცება გამოუწვევია პარტიების ბაიბრალბებს, ამ პარტიების კეთილშობილურ შეჯიბრებას ჩვენი დაცემული ქვეყნის სამსახურისა და ბედნიერებისას...

ეს, თუ დამიჯერებთ, ღმერთმანი, გვარიანი ნაბიჯია ჩვენ ცხოვრებაში...

მე მყავს ერთი კარგი მეგობარი, იშვიათი

გულკეთილი, მასთან მშვიდი ხასიათის ადამიანი. ამ ჩემ მეგობარს არაფერი არ აშფოთებს და გამოიყვანს მოთმინებიდან ისე, როგორც უსამართლობა. ერთი სიტყვით, იგი ციდან ჩამოსულ ხორც შესხმულ ანგელოზათ უნდა ჩაითვალოს დღეს ჩვენ ცოდვილ ქვეყანაში.

ამ მშვიდს, წყნარს და გულკეთილ ადამიანს შორს მკვრეტელი თვალები აქვს, იშვიათად ქირდება მას სათვალეები და ხშირად, ძალიან ხშირად იმისანასაც — კი ამჩნევს და დაინახავს რასაც სხვა ოქროს პენსნებითაც ვერ დაინახავს.

აი, ეს მეგობარი მოვიდა ჩემთან დამთხზა: როგორ დაუძღვრივით გაცლიხარ, კაცო, ამოდენა ქალაქის ყრიაშულს, შაფათს, 2-ს აპრილს, უსათუოთ, უნდა დაესწრო დრამატიულ საზოგადოების კრებას, რომელიც ქალაქის თეატრში შედგებოდა. ამასთან მან მთხოვა, აღჭურვილიყავ ამ საზოგადოების საწევრო უფლებებითაც, რათგან ფრიად საჭირო იყო დაესწროდი კრებას, როგორც ხმის მექონი წევრი ამ საზოგადოებისა...

კენჭი, თურმე, უსაჭიროეს იარაღს წარმოადგენდა ამ კრებაზე..

ჩემ შევნიერ მეგობარს ბევრი „ლაპარაკი“ არ უყვარს. სათათრეთ-გერმანეთის ძლიევა მოსული ჯარები დიდებულ მაკენზენისა და ენვერ-ფაშის წინამძღვრობით, რო კარზე მოგვდგომოდა, მეტს აჩქარებას და ენაწყლიანობას ვერ შევამჩნევდი და... დავპირდი ხმა ამოუღებლათ სწორეთ დანიშნულ დროზე მისვლას კრებაზე...

ახლა-კი, ნება მიბოძეთ, ჩემი თავიც მოკლეთ გაგაცნოთ. მე არაფერ პარტიას, დღეს აქ არსებულს, რასაკვირელია, პოლიტიკურს არ ვეკუთვნი. ვარ (ვიცი და ვგძნობ) უტკბილესი საქართველოს შვილი, გული სიამით, მზიარულათ და აგზნებითაც მიცემს, როცა იმის კარგს გავიგონებ და, ვაი იმდღეს და წამს ამ უკუღმართ დროში, თუ გლახას რასმე ვისვენ მის შესახებ. მაშინ მაჯის ცემა ამჩქარდება, მადა მეკარგება, გული მიწუხს და სულ იმაზე მიდის ფიქრი, რო მისი საქმე გამოკეთდეს და ძლიერათ და მადიანათ საკეთილდღეო გზას დაადგეს...

ეს გახლავთ, ბატონებო, მოკლეთ ჩემი და-
ხასიათება, როგორც უპარტიო, თვისი მრავალ-
ტანჯულის სამშობლოს დიდათ მოყვარული
ადამიანისა.

აღრე მივმართე დანიშნულ ადგილს.
თეატრის კარებში რამდენიმე ნაცნობი შევნი-
შნე. აქვე შავილა დაედგათ და რალაცათი ძლი-
ერ გატაცებული იყვნენ. ნაცნობებმა, თუმცა
შამომხედეს, მარა თვალებს თითქო სინათლე
გაპარვიაო, ვერ მიცვენეს, სახის გამომეტყვე-
ლება ოპიუმ დანალევ ადამიანისას უგავდათ.

თეატრის წინ დადიოდა რამდენიმე ქალი-
და კაცი განცალკევებულათ, ანთუ შეხვდებო-
დნენ ისინი ერთი მეორეს და დაილაპარაკებდნენ,
მათ საუბარს რალაც იღუმალი საიდუმლოების
ხასიათი ეტყუობდა. ერთი სიტყვეთ, რალაცა-
არა ჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო, რალაცას
ისე მოვლოდნენ.

ხალხი ერბაშათ მოაწყდა თეატრს. მარა რა
ხალხი, რაჯურის ხალხი. ყოველ ოჯახიდან, რასა-
კვირელია, ქმარი და ცოლი (ეს, უკანასკნელი,
როგორც კანონიერი., ისე სხვანაირიც), გარდა
ამისა, შვილები, ცოლისდები, დები, დეიდები,
შამიდები და სხვა ყოველ ნაირნი, დები „...გა-
დაქარბებული არ გეგონათ...“

ვინც ბუნებით გონების თვალებს მოკლე-
ბული არ არი, მისთვის დიდათ საინტერესო
სანახაობას წარმოადგენდა ეს არაჩვეულებრივი
კრება. ხალხით გაქედილი იყო, როგორც პარტე-
რი, ისე ქანდარა და ბევრი, უადგილობის გამოა
ფეხზე იდგა დერეფანში და ყოველგან, სადაც
კი ფეხი დაიდგებოდა.

ასე იფიქრებდი, რალაც შავი ღრუბელი ჩამო-
წოლია საქართველოს და მას მოუტრეკია ხალხი,
განურჩევლათ სქესისა და წოდებისაო. მარა,
თუ ყურს მიუგდებდი, ამ ხალხში იყო თავ-
შეკავებული ჩურჩული, რომელშიაც შენიშ-
ნავდი მუქარას, ლანძღვას, ერთი მეორის უპა-
ტიურათ ხსენებას. გასაოცარი ჩემთვის უფრო
ის გარემოება იყო, რომ ამ კრებაზე მამაკა-
ცებზე უფრო ქალები ეძლეოდნენ მღელვარე-
ბას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ქალები ხომ
უფრო, მთელი თვისი არსებით ეძლევიან გძნო-

ბებს. ამ შემთხვევაში სახლგარი არ იციან...
ეტყუობდათ, რომ ამათ მასწავლებელი, წინას-
წარი დამრიგებელი, ხელმძღვანელი ყავდათ...

როდესაც დრამატიულ საზოგადოების
თავმჯდომარემ გახსნა კრება და მოუწოდა კრე-
ბას, გამოერჩია მეთაური, უნდა შეგეხედათ
(გადმოცემით ძნელი გასაგებია, რა მოხდა),
რა სანახაობა გადაეშალა გარეშე მეთვალყურეს:
ზევით, სცენაზე, სადაც იდგა გძელი მაგიდა და
გარს უხსდნენ ხსენებული საზოგადოების პატივ-
ცემული წევრნი, პირველ პოზიციაზე გამოსახუ-
ლიყო გრიგოლ ლალიძე, როგორც დირიჟორი.
იგი დიდათ ცდილობდა რალაც ეთქვა. მარა,
მას ენა არ ემორჩილებოდა. ქონდა შემთხვევა,
ენა ვადმოკიდებოდა პირისგან. მე მეგონა, მან
ენა უჩვენა მის მოპირდაპირეებს. მარა ჩემმა
უახლოესმა მეზობელმა ამიხსნა, რომ ხშირათ
ემართება, თურმე, მას: ენა თავს არ ემორჩილე-
ბა, პროტესტს უტყუადებსო.

ამ ამბავმა უფრო საგონებელში ჩამაგდო
— ვაი, თუ წააგონ საქმე-თქო და დავეკითხე
ჩემს მეზობელს, რათვან შევატყე, მან კარგათ
იუღდა მეომრების, „შტაბის“ საქმეები და მათი
ალიან-ჩალიანი.

— რისთვის არ გაითვალისწინეს „შტაბის“
უფროსებმა და იმისანა კაცი არ წამოაყენეს
მოწინავე პოზიციაზე, რომელშიაც ეს საოცა-
რი კონფლიქტი ენის და მისი ბძანებელის,
ხელმძღვანელის—ტენის შორის არ სუფევდეს?

— არა, ბატონო, მათ საქმე გაჩაღებული
აქვთ. ბელადები მათი პარტიისა, თუმცა ენა-
წყლიანი დეენტომენებია, დიდათ არ იწუხებ-
ენ თავს. აი, ხო ხედავთ ამ ქალებს... ეს სულ
მოყვანილია ამ საქმისთვის. ესენი მათ, რა თქმა
უნდა, არ უმტყუნებენ. აქით გაიხედეთ! ამათზე
ღერთგულესი, აბა, ვინ უნდა იყო! ყურ-მოჭ-
რილი მონებია. მართლაც მოვიხედე... დარაჯები
თავისი ნაცნობ-ნათესავებით, ცოლ-შვილით და
მოკეთებით... ვის, როგორც შეეძლო, იმდენი-
მოყვანა, რომ მით სამსახური გაეწიათ, ეს ია-
მოვნებით უფროსებისთვის. აი, განაგძო
„შტაბის“ მცოდნემ, პირდაპირ რომ წითელ
კურტკაში ქალია, ათვლიერებს ხალხს... ეს ხა-
ლხი მისი მოყვანილია. ეს ერთი კვირაა, მაგას

არ შეუსვენია, ებრაელების უბანიც არ დაუტოვე-
ბია, არ დაევილო, დიდი სამსახური გაგვიწია,
მარჯვე ქალია ძალიან...

— კარგია, მივუგე მე, — რუსები იტყვიან:
Нѣтъ худа безъ добра. ჩვენ დაბეჩავებულ
დრამატიულ საზოგადოებას კარგი ფული შე-
მოუვიდოდა. სომხისა არ იყვეს, საქმე
დახლია!... ბევრი ჩაწერილა წვერათ.
ხუმრობაა? სამი მანათი საწვევრო ჭული, კარგი
თანხა შედგებოდა!.. ამ ჩემ ვულ-უბუცილო შენი-
შენაზე ჩემმა მეზობელმა მხიარულათ, მაღიანათ
გადიხარხარა და კარგათ ჩამაკვირდა სახეში, თი-
თქოს ახლა პირველათ შემინინა და გამიცნო,
როგორც სრულიათ უვიცი ამ არეც-დარევის
მიხეზებისა. ეს, რასაცა ხედავთ აქ, ბევრი სულ
უფულოთაც არიან მოსული, ვითომდა ნისიათ..
მერე შემოიტანებენ! ასე, ბატონო, ახერხებენ...
მარჯვე ხალხია, მარჯვე. დაუმატა მან თანა-
გძნობით. აი, თუნდა მათი მეთაურები, ყველა
კარგი, კარგი ნააწაველი, მოწინავე ხალხია, ჩვენი
საზოგადო მოღვაწენი, ჩვენი მწერალნი, კარგ
ადგილზე მსახურობენ. მერე, რა? მეთაურები
ხომ არიან, სულ დარჩეული ბიჭებია... მაგათ,
მოგახსენებთ, ტოლი არ ყავთ ჩვენში, წაცადი
ხალხია. როგორა გგონიათ, ჩვენ საზოგადო
დაწესებულებებში თავის შერგვა ადვილი-კი არ
არის... იქ, ვინც არი, სუყველას დიდი ომის
განცდის შემდეგ აქვს მოპოვებული ადგილი..
ახლა-კი იმისანა შემადგენლობა არი, რომ მათ
ვერაგინ გაუშკლავდება. მაპატივეთ, ბატონო,
შედარება. მარა ეს შედარება ცხადათ დაგინატავთ
ჩემ აზრს მათ შესახებ. ნახვით ღმერთმა
ღ გიფაროთ და გაგონებული ვექნებათ,
თ. რას წარმოადგენს ყაჩაღთა ბრბო. ისინი,
ისე მტკიცეთ არიან შეკავშირებულნი, რომ-
ერთი მეორისვის სიცოცხლეს წირავენ. აქაც
ასეა. სულიერათ ქალი და კაცი შეგნე-
ბულათ შეთვისებული არიან, ერთი სიტყვით,
ძალიან ჭკვიანი და შეგნებული ხალხია. საზო-
გადო საქმეებისთვის დიხაც იღწვიან. მარა...
როდესაც თავისას გაათავებენ, ეს არც ეძრახე-
ბათ, ყველა, უპირველესათ, თვისი თავისთვის
ზრუნავს და, შემდეგ, სხვისთვის. ეს საქციელი,
რა თქმა უნდა, არ არი მოკლებული ბუნებრივო-
ბას, თუ კაცი თვის თავზე არ იზრუნებს,
შომშლით ფეხს გაჭიმავს და, შემდეგ, ვის გა-
მოადგება. ეს ძლიერ მაგარი მოსახრებაა-დაუ-
მატა მეზობელმა.

— კი, მარა ერთი ამიხსენით, რაშია დღეს

საქმე? რისთვის არიან ასე გაცეცხლებულნი,
არ ზოგვენ ერთმანეთს, არ შეიძლება მათი
შეთანხმება? ხომ ორიენი, ე. ი., ორივე მხარე,
თუ პარტია, როგორც უწოდებენ ჯგუფს, ქა-
რთველებია, ორივეს დარწმუნებული ვარ,
სიკეთე სურთ თვისი სამშობლოსთვის. სულ
ერთი არ არი, ვინ წავა კულტურულ დაწესე-
ბულებათა კავშირში, მონაწილეობის მისა-
ღებათ... რა პოლიტიკურ რწმენას შეერყევა
საფუძველი?

— ეეე, ბატონო! რა მიუხდარი კაცი
ყოფილხართ! ვინ ფიქრობს პოლიტიკაზე,
თქვენგან არ მიკვირს! ეს პარტიის სახელი
დროშაზე აწერიათ... თორე აქ საპოლიტიკო
რა აქვთ. ჯგუფს თვისი მხოლოდ, თვისი ვიწრო
მიზანი აქვს, საზოგადო შიგ არაფერია. ეს არი
ერთი წრის ჯგუფი. არ ეძახიან ამ წრეს, პარ-
ტიას მხოლოდ მისთვის, რომ არ არი მიღებუ-
ლი დღეს კერძო ჯგუფის იარლიკით იარონ
და მერე, ვინ? მათ ყველას საზოგადო მოღვა-
ეებათ მოაქვთ თავი. ამათ სურთ ყველამ ისი-
ნი იცნოს გავლენიან, პირველ კაცებათ
საქართველოში.

— ეგ ასე იყოს. მარა ამ მოთავეებმა კა-
რგათ იციან, სტოროჯების და მათი ნათესავე
ბის კენჭები და თვით იმ სიცოდავი ქალების
კენჭები, რომელთაც სახლში ბავშვები დაუტო-
ვებიათ, და მაგათ მოუყვანიათ, არაფერ პოლი-
ტიკურ რწმენით პიროვნებებს არ წარმოადგე-
ნენ? ან ის ბავშვები, ქანდარაზე რომ მოუთავ-
სებიათ შვალამეზე და აყვირებენ, ეს ხო მთელი
მომავალი მოდემის გარყვნა-გათახსირებაა და
რისთვის ნებულობენ ამ გახრწნილების შეტანას
ჩვენს, უმისოთაც უღისციბლნო, მოუმზადებელ
საზოგადოებაში?

— შე დალოცვილო, გამაწყვეტია სიტყვა
მოსაუბრემ. შენ ვინა გგონივართ, ჩვენ ადამი
ანები ვართ და არა ანგელოზები.

ამ შეტევის შემდეგ, გაეჩუმდი. და მართა-
ლი მოგახსენოთ, ვერ ვიტყვი, შიშის ჟრუან-
ტელმა არ გამკრა. ეს ვიდაც იყო, პარტიის
კაცი იყო, როგორც მერე გავიგე. კიდევ
დიდი მოთმინება გამოიჩინა, ბევრი რამ ამიხსნა,
რაც მე არ ვიცოდი. მე მისი კმაყოფილო დავ-
რჩი. არვიცი-კი მე როგორი ჩაბეჭდილება
მოგახთინე მაზე. კრების თავმჯდომარეთ აირ-
ჩიეს თავ. კიტა.

მომწყინდა, მართალი გითხრათ. ბოლოს,
თავიდან ბოლომდი ეს კრება დიდ არაფერ
სერიოზულს არ წარმოადგენდა. ეს კრება გა-

სართობ სანახაობასაც წარმოადგენდა უბატრო-
ნო ხალხის ცხოვრებიდან. მთელი თეატრის
ტერიტორია, თუ შემოიღო ასე ვთქვა, წარმო-
ადგენდა სცენას, არტისტები მოთამაშენი უფ-
როსი კომიკების გარდა, იყვენ ბევრი, რო-
გორც ქალებში, აგრეთვე კაცებში. ბევრი
გადაცმულიც ყოფილიყო... მარა ვინ მომეწონა
მე, ეს ჩემი გრიგოლი, დეჰაგოვის, ორატორის
როლში. სწორეთ კარგი იყო, კარგი... პირვე-
ლი საათი იყო თეატრი მივატოვე. მეორე
დღეს გავიგე, ამოვრჩიათ წარმომადგენელი
თფილისს წასასვლელათ, რომ იქაც კულტუ-
რულ საზოგადოების საქმეებში შეიტანონ
წესიერება, თანასწორობა, სათნოების ნიადაგზე.

კარგი—თქო, გულში ვთქვი, თუ ცხოვრება
ში არა, თეორიით მაინც იციან ლაპარაკი ამ
დიდებულ შემეცნებებზე.

ბოლოს და ბოლოს, მაინც მაგონდება
გრიგოლ ლალიძე, კარგი იყო... საოცარი სას-
ცენო ნიჭის პატრონი ყოფილა. რომ ის არა,
მე ადრე წავიდოდი სახლში, შეგვიქცია, მხი-
არლება შემოიტანა იმ კრებაზე. თავი და თა-
ვი აურზაურისა ვერ გავიგე რა, რისთვის იყო
ეს „ომისაზარი“ მარა, რას ვამბობ? სხვა რამ
კი არი ჩვენში გასაგები?!

ვინ არი მაინც გამარჯვებული ამ აყენე-
ბულ კორიანტელში? დამეკითხება მკითხველი.
მე, თუ მკითხავთ, რასაკვირველია, ის, გინც
მეტი ეცადა, მეტი იბძოლა და კიდევაც მიეჩ-
ქარება მას მიზნის (არ ვიცი-კი, რა მიზანია
იმისანა,რო საქართველოს ამღლება რითიმე ქონ-
დეს საფუძვლათ დადებული) შესასრულებლათ.
ღრამატიული საზოგადოების ერთი წევრთაგანი.

**ბატ. გ. მ. თუმანიშვილის ლექციები ა.
ლ. შანიავსკის უნივერსიტეტში.**

ჩვენი თანამშრომელი, ბატ. გ. მ. თუმანი-
შვილი შარშან ესტუმრა მოსკოვს, სადაც სტუ-
დენტებმა, რომელნიც მის ნაწერებს იცნობდენ,
თხოვეს მას ა. ლ. შანიავსკის უნივერსიტეტში
(მოსკოვშია) კავკასიის შესახებ წაეკითხა ლექ-
ციები.

იმ დროს, ისე ნაჩქარევათ ვერ მოხერხდა
ლექციების წაკითხვა და გიორგი ამ წელს
აპირობს ათი ლექციის წაკითხვას და, იმე
დია, ჩვენი მზრის სტუდენტობა, განურჩევლათ
ეროვნებისა, დიდი ხალისით მოისმენს მსკოვა-
ნი ლიტერატორის ლექციებს.

კავკასიის დიადი და მდიდარი ბუნება, ისე
მრავალფეროვანი, მრავალ გვარია, რო თხო-
ულობს ძალიან დიდ დაკვირვებას, მესწავლას
და ღრმათ განსკვრეტას იმდენი, მღელვარე
ცხოვრებისას, რომელიც გაქიმულია ამოდენა
მანძელზე. აქ ყოველფეხის გადადგაზე სხვა
და სხვა ჰაეაა, სხვა და სხვა ზომის ჰაერია, ნია-
დაგი, მცენარეულობა, შინაური და გარეული
ცხოველები, მთა-ბარის უთვალავი სიმდიდრე
მიწაში ჩამარხული და დედა-მიწის ზედა პირ-
ზეც თვალ წარმტაცათ უხვათ გაშლილი.

აქ თავმოყრილია სხვა ზ სხვა მოდგმის ხალ-
ხი. რა ზ რა თემები გინდათ, ნახევრათ ველურ
მდგომარეობიდან დაწყებული, უკლტურესი და
უტურფესი, უნაზესი ერის წარმომადგენლება-
მდი ჩვენი თვალის წინ ტრიალობენ აქ. ეს
ქვეყანა ერთი საოცარი კალეიდოსკოპი, სადაც
ჯადოსნურათ თავი მოუყრიათ სხვა და სხვა
ენაზე მრავალ მეტყველი მოდგმის თორმეტ
მილიონზე მეტს ხალხს, რომელთაც თვისი
საკუთარი ზნე-ჩვეულება, ხასიათი, ყოფაქცევა,
სახლ-კარის ზ ცოლშვილის მორთულობა, სხვა
და სხვა ნაირი სარწმუნოება, ტრადიციები და
ისტორია აქვს.

კავკასიაში ისტორიის დასაბანიდან ცხო-
ვრობენ-ქართველები, სომხები, ადერბეიჯანე-
ლები, თათრები, სპარსელები, ბერძნები,
მთებში ოსები და მთების გადაღმა კალთებ-
ზე სხვა და სხვა მთის ხალხებია გაფანტული.

ამ ხალხების დიად ცხოვრებას რეგულია-
რულ მსვლელობას აძლევს მამაპაპური ზნე
ჩვეულება და დაწერელიკანონები.

კავკასიის მამადიანთა ცხოვრება ექვემდე-
ბარება ყურანის მოთხოვნებს. ქრისტიანები-
სა-კი —მამაპაპათა ზნე-ჩვეულებას და კანონებს,
რომელნიც შეუმუშავებით ძველათ ჩვენ მეფე
ებს და სჯულმდებლებს.

რუსის კანონები ხშირათ მსაჯულებს ნე-
ბასაც აძლევენ, ძველი ჩვეულების და ადათის
თანახმად, გადაწყვიტონ საქმე. ამ მიზეზით,
სამხედრო სახალხო სამართველოებში ხალხის
მოსამართლენი წყვეტენ, არა თუ უბრალო,
ჩვეულებრივ საქმეებს, არამედ დიდ სამოქალა-
ქო და სისხლის სამართლის საქმეებსაც...

კავკასიის ახალთაობა, რომელსაც ბედმა არგუნა დასწავებოდა უმაღლესი სასწავლებლების ცოდნას, ვალდებულია გაიცნოს ზედმიწევნითაც ეს ყოველის მხრით მდიდარი ქვეყანა, შეისწავლოს აქაური კულტურულათ დაწინაურებული ერების' ენა მაინც და გაიცინოს თლად კავკასიის მცხოვრებთა იურიდიული, საზოგადოებრივი და ეკანომიური ცხოვრება.

ეს ხო სხვაგან, მაგალითად, ინგლისში საზოგადო პოლიტიკის ანბანია...

რო თქვას კაცმა, კავკასიაზე ლიტერატურაც არი რუსულ და საზღვარ გარეთულ მწერლობაშიაც. მარა ამ ლიტერატურას ზღაპრული ხასიათი აქვს და იძლევა ძალიან მქლე, არეულ და საყველბურო ცნობებს. იქ ავსტრალიის და აფრიკის ველურებზე უფრო უტყუარი ცნობებია, ვიდრე ჩვენზე.

ამ ჟამათ, კავკასიიდან ბევრი სტუდენტობაა თავმოყრილი მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში ლ ესჩენი საიმედო, სერიოზული სტუდენტობა, რათქმა უნდა, გულით მოისურვებს ელემენტარული, ენციკლოპედური ცნობები მაინც შეიძინოს კავკასიის მცხოვრებლების იურიდიული, საზოგადოებრივი და ეკანომიური ცხოვრებისა.

და ეს საჭირო, სასარგებლო ცნობანი ჩვენს სტუდენტობას ნერე ცხოვრებაში გამოადგება.

ქართული პრესა.

ბატ. დავით ონიაშვილმა ფრიად საყურათლებო წერილები დასტამბა გახ. „თანამედროე აზრში“ კავკასიის ერობის შესახებ. ავტორი ძალიან სერიოზულათ მოკიდებია თვისი კვლევის საგანს, ისტორიულათ შუქს ფენს ამ დიდ საჭირ-ბოროტო საგანს რუსეთსა ლ ჩვენში ლ, ბოლოს, ასე ათავებს:

„რა შედეგები მოყვება ერობის განორციელებას ჩვენში? ერობა ჩაყენებს ჩვენი ხალხის ცხოვრებას ახალ კალაპოტში და გაძლიერებს მის თვითმოქმედების უნარს. ერობა—ერთი საუკეთესო ფორმაა ახალ საზოგადოებრივ ძალთა ასამოძრაველათ. ჩვენი ქვეყნის ეკანომიური გავითარება დღემდე შეზორკილია ათასნაირი ფეოდალური ნაშთით, რომელთაც ადგილი აღარ ექნებათ მომავალ ერობაში. ეს უკანასკნელი გავითარებს

და გამტკიცებს ახალ იდეოლოგიას. ერობა თან სდებს კაპიტალიზმის გავითარებას, სუსტდება და ძლიერდება მასთან ერთად ის ეკანომიური მიზეზები, რომელნიც მოქანებენ ჩვენ ქვეყანას კაპიტალისტურ გავითარების გზაზე, ნიადაც უმზადებენ ერობის განორციელებას. ერობით დღეს ყველა დაინტერესებულია. იგი საუკეთესო ასპარეზია, სადაც ფთებს გაშლის თითოული კლასის სულისკვეთება. ამიტო საჭიროა, ერობის გარშემო თავი მოიყაროს ჩვენი ქვეყნის დემოკრატულმა ნაწილმა.

ჩასაკვირველია, ერობით არ ამოიწურება მთელი ერის სულიერი შემოქმედება. იგი მხოლოთ საშუალებაა დიად მიზნების მისაღწევათ. ერობა გაახალისებს ჩვენ მოღუენებულ ცხოვრებას და მისცემს მას მეტ სიღრმესილამაზეს“.

„პაიპარი“ საქალაქო არჩევნების შესახებ.

თფილისის ქალაქის არჩევნებმა საყოველთაო ყურათლება მიიპყრო. დემოკრატულმა წრეებმა ერთხმათ დაგმეს სომხის პლუტოკრატისა და რუს-ქართველ ნაციონალისტთა შოვინისტური საქმიანობა.

ამ საკითხზე სომხური დემოკრატული ორგანო „პაიკარ“—ში მოთავსებულია შემდეგი საყურათლებო წერილი.

„გახვლილ არჩევნებში— ვკითხულობთ გავითში — სხვადასხვა ეროვნებათა გაბატონებული წრეები ნაციონალური დროშით გამოვიდენ ლ ფრიად გაადვივს შეუგნებელი მასის შოვინისტური ინსტიკტები.

მაღალი საარჩევნო ცენზის შემწეობით კვლავ სომხის პლუტოკრატიათ გაიმარჯვა. მარა ეს პიროსის გამარჯვებაა. მან გამოაშკარავა სრული ზნეოვრივი სიკოტრე და პოლბტიკური სიბეცე. არჩევნებს მან მისცა ეროვნული ხასიათი და შოვინისტური გალაშქრების დროს არ დაერიდა არც მოტყუებას. თვისი სიაში სომხის პლუტოკრატიათ მოათავსა რამდენიმე ქართველი და რუსი, მარა მოდალატურათ ისინი გააშავა, უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა, ეს ზნეობრივ დაცემას მოასწავებს.

ეს ცოტაა. „განახლების ჯგუფის“ კანდიდატების გასაშავებლათ, იმ ჯგუფისა, რომელიც საარჩევნო ასპარეზზე დემოკრატული

ლოსუნგებით და ეროვნული სოლიდარობის დროშით გამოვიდა, სომხის პლუტოკრატი პირველ საარჩევნო უბანში შეუკავშირდა შერჩეულ რუს-„პატრიოტებს“ და პ. გოთუას ჯგუფს. ეს პოლიტიკური დაცემის ნიშანია“.

ვაზეთის აზრით, სომხის პლუტოკრატი სხვანაირათ ვერც მოიქცეოდა. მხოლოდ ამ გზით შეეძლო მას ქალაქის თვითმართველობაში ბატონობის შერჩენა.

„სამწუხაროა ის გარემოება, რომ სომხეთა ფართო წრეებს არასოდეს არ გამოუჩინიათ ასეთი შეუგნებლობა, როგორც დღეს. ამ შეუგნებლობის გამო, პლუტოკრატიის შოვინისტურ იარაღათ გამოვიდნენ. ეს განსაკუთრებით იმით აიხსნება, რომ ხალხის ფართო მასა, დემოკრატიული წრეები, მაღალ საარჩევნო ცენზის გამო, მოკლებული არიან საშვალეებს არჩევნებში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.“

საჭაროა აქ ხაზგასმით აღინიშნოს, რომ არჩევნებში ქართველი დემოკრატია ერთათ-ერთი იყო, რომელმაც ზნეობრივი ძალა და პოლიტიკური შეგნება გამოიჩინა. ამას შემდეგიდან დავინახავთ. ვერა ქართველ ნაციონალისტების ბუდეა, ხოლო ნაძალადევი ქართველ დემოკრატიის აკვანი. ვერის შესახებ ბევრი არაფერი გვეთქმის. ეს ამკარაა არჩევნების შედეგიდან და იქ შეკრულ ბლოკიდან. არჩევნების ბურუსიან ფონზე ნათელი კვალი დააჩინა ქართველი დემოკრატიის საქმიანობამ“.

სულ სხვა სურათს წარმოადგენდა სომხის დემოკრატიის უბანი — ავლაბარი. ვაზეთის აზრით, ნაძალადევს „ხელში ინტერნაციონალური დროშა“ ეჭირა და სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებდა ეროვნებათა შორის შუღლისა და მტრობის მთქსველთ, ხოლო ავლაბარი სოლიდარულთა კარნახს ემორჩილებოდა. ეს ნიშანია პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეუგნებლობის.

ქალაქის განვლილმა არჩევნებმა ერთხელ კიდევ დავგარწმუნა, რომ ქალაქის მეურნობის პლუტოკრატიის ხელიდან გამოვლევჯა და სახალხო საფუძველზე აგება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა საარჩევნო წესი გამოიცვლება და ბოლო მოეღება ქონებრივ ცენზს. მეო-

რე მხრივ, ეროვნებათა შორის მეგობრული ურთიერთობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა სომხის დემოკრატიული წრეები გათავისუფლდებიან ბურჟუაზულ-მეშახური იდეოლოგიის ზეგავლენისგან, რომელიც მათ სომხის პლუტოკრატიის ყურმოჭრილ მონათ ხდის.

პირველისა და მეორის გახორციელებას დიდი დრო არ დაქირდება“.

ტრაპიზონი.

რუსის ჯარებმა აიღეს ტრაპიზონი, ან როგორც ძველი ქართველები უწოდებდნენ მას, ტრაპეზუნთის ქალაქი.

ტრაპიზონის ხსენებაზე ქართველ კაცს იმ წამსვე დიდი თამარი მოაგონდება. თამარ მეფემ მოგლიჯა დიდი ბიზანტიის იმპერიას ტრაპიზონი და მისი არე-მარენი და დაარსა სრულიად დამოუკიდებელი იმპერია, რომლის ტახტზე დასვა თვისი ნათესავი ალექსი კომნიანოსი, ანდრონიკეს შვილი. იხ. „ქართლის ცხოვრება“.

ძველათ ტრაპიზონი ბერძენთა ჰალშენს წარმოადგენდა. ის გაშენებულია ქრისტეს დაბადების წინ, 756 წელს. იმ დროს ტრაპიზონი სავაჭრო ცენტრი იყო და, სხვათა შორის, კოლხიდასთან ფართო აღებ-მიცემობას აწარმოებდა. ქრისტეს დაბადების შემდეგ, მეთორმეტე საუკუნეში, როგორც მოგახსენეთ, ტრაპიზონი დამოუკიდებელი იმპერიის სატახტო ქალაქი შეიქნა . .

თამარ მეფის დროს საქართველო მთელ აზიაში ძლიერ სახელმწიფოთ ითვლებოდა და მას ეკავა ფართო ტერიტორია შავი ზღვიდან კასპის (კურგენის) ზღვამდე. ტრაპიზონის იმპერია ისევ ბიზანტიის იმპერიამ ჩაყლაპა. . . როცა ბიზანტია დაეცა, ტრაპიზონიც დღემდე ოსმალთა იმპერიის სამფლობელოს წარმოადგენდა.

ტრაპიზონი მდ. დალიმენ-დერეს ნაპირზეა. მცხოვრეთა რიცხვი 60 ათასია, აქიდან 20 ათასი ბერძენები და სომხებია, რომელთა ხელშია მთელი აღებ-მიცემობა. ბაღდადის რკინის გზის გაყვანამდე, ტრაპიზონიდან აზრუმის გზით,

სპარსეთში დიდძალი საქონელი გაქონდათ და ის შვა აზიის გასაღებს წარმოადგენდა. ანატოლიაში რკინის გზის გაყვანის შემდეგ, ტრაპიზონის მნიშვნელობა დაეცა, სამაგიეროთ, გაძლიერდა ქალ. სასუნნი.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ტრაპიზონი სტრატეგიული თვალსაზრისით. ის აზრუმის კარია. აზრუმის აღების შემდეგ, თავისთავათ დაისვა ტრაპიზონის საკითხიც. სანამ ის ოსმალთა ხელში იყო, აზრუმს საფრთხე ელოდა: ოსმალეთს შეეძლო ტრაპიზონით ჯარის გადმოყვანა და სამხედრო მასალისა და სურსათის გადმოზიდვა. ტრაპიზონის დაცვამ ოსმალთა გეგმა ჩაფუშა...

ტრაპიზონი გაშენებულია სიურმენის მთებზე. როგორც შავი ზღვის ნაპირზე გაშენებული სხვა ქალაქები, ესეც წარმოადგენს სანახაობისა. გარეგნულათ ამფითეატრის შეხედულობა აქვს ძველათ ამ ქალაქს ბერძნები **ტრაპეზუსს** უწოდებდნენ. ასეთი სახელწოდება ბერძნებმა იმიტომ მიცეს, რომ ლამაზი ქალაქის მდებარეობა ფრიად წაგავს ტრაპეზს. მაღალს კლდეებიდან ამოყვით გამოიყურებდა ძველის ძველი სასახლე იმპერატორებისა. ეს სასახლე უფლობს მთელს ამ ძველს უბანს, სადაც უზვადაა გაბნეული ძველის ძველ დარბაზების ნანგრევები და ციხე-კოშკთა ნაშთნი. სხვა დანარჩენ შენობათაგან საყურათლებოა ძველი ნავთსადგურის ნაშთნი, რომელიც იმპერატორ ადრიანის მიერ იქნა აშენებული, ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში.

ტრაპიზონში ბერძენთა მრავალი ეკლესიაა, იუსტინიანე დიდის დროისა. განსაკუთრებით უთითებენ ერთს ეკლესიაზე, რომელიც თვით იუსტინემ ააშენაო. ეს ეკლესია შემდეგ მეჩეთად გადაუქეთებიათ. საყურათლებოა აგრეთვე იმპერატორ მანუელის აგებული ტაძარი (XIII საუკუნეში).

ტრაპიზონი ქალღეთა ოლქების ცენტრათ ითვლებოდა. იგი ლაზისტანის უკანასკნელი ბურჯია, რომელიც საზღვრავს ანატოლიდან და ვიწრო ყელით გამოსწევს ზღვისკენ და კავკასიონის კალთებთან ჩერდება. ტრაპიზონის მახლობლათვე ამართულია ოფის მთა. ყველა

ეს გარემოება ამ ქალაქს უძველეს დროიდანვე მიუღწევს ციხეთ ხდიდა იმპერატორ ვალერიანის დროს (მესამე საუკუნეები). სკვიტებმა, პითიონის აღების შემდეგ (პითიონი დღევანდელი ფოთი ვახლავთ), აქით გამოილაშქრეს. აქ მათ დახვდათ ორი წყება კედლებისა. ქალაქს რომაელთა გარნიზონი იცავდა. იქნება, ეს ქალაქი ვერც ახლა აედოზ, რომ რომაელნი ზვიადათ არ მოქცეულიყვენ და მეტის მეტათ დიდი წარმოდგენისა არ ყოფილიყვენ თავიანთ თავზე. მათ არაფრათ ჩააგდეს მოსული მეტერი. ქალაქის დაცვაზე ყურიც არ გაუბერტყენიათ. თამაშით, ბურთაობით და სათეატრო გასართობებით გატაცებული იყვენ. ამით ისარგებლეს სკვიტებმა. დამით აცოცდენ კედლებზე, შეცვიდენ ქალაქში და უეცრივი შეტევით ხელთიგდეს ქალაქი. გარნიზონი გაიქცა. მდიდარი ქალაქი გაცარცული იქნა. ეს ეპიზოდი ერთი უძველესი ამბავთაგანი ვახლავთ ტრაპიზონის დაცვისა, სკვიტების დროს...

ძველს ქალაქს ბევრი, ძალიან ბევრი რამ ახსოვს. როგორც იუსტინიანეს ხელისას, აქვე ნახავთ გენუელთა ეპოქის შენობებს. დღევანდელს ტრაპიზონში არა ერთი კულტურული დაწესებულება მოიპოვება. 82 სკოლა, 5 აბანო, ოცამდი ქრისტიანთა ეკლესია, 18 მეჩეთი. გარეგნულ სილამაზის წინააღმდეგ, შიგნით ვერ არი ქალაქი მოწყობილი, ქუჩები ვიწროა, ქუჩყაინი, ქვაფენილს იშვაათად ნახავთ.

პირადათ, ქართველთათვის ეს ქალაქი, გარდა პოეტურ წარსულისა და პოლიტიკურ ძლიერების მოგონებისა, მოგვითხრობს ჩვენს გმირთა-გმირ ტანჯულ გვირგვინოსან, მეფე სოლომონ II ლეგენდარულ ცხოვრებას, რომელმაც ძველები, სამშობლოდან ლტოლვის შემდეგ, აქ ჩაყარა 1815 წელს...

მოწოდება.

ეს მეორე წელიწადია, რაც სისხლის წვიმებმა თითქმის ყველაფერი დაგვაფიწყა და მთელი ჩვენი ყურათღება მიიქცია.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მარა ამასთანვე არ უნდა დავივიწყოთ ის ძმები-ამხანაგები, რომელნიც

ცოცხლათ, იქნენ დამარხულნი ოთხ კედელ შვა... ისიც სამშობლოს მოწყვეტილნი და ყოველივე ადამიანურ და მშობლიურ ხმას მოკლებულნი... ვისაც უგემია ცხრაკლიტულში ყოფნა, იმისთვის ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი გაორკეცებული ტანჯვა-წვალებას განიცდიან ისინი, ვინც რკინებით დახლართულ ოთხკედლების შემყურენი იმყოფებიან, დედა ენაზე სულიერ საზღოს, წიგნების უქონლობის გამო.

თითქმის ყველა საკატორლო ციხეებთან არსებობს ბიბლიოთეკა სამკითხველო, საიდანაც სარგებლობენ ტუსაღები, წიგნებით და ჟურნალებით. მარა, სამწუხაროთ, ქართველი კატორღელები ამ ბედნიერებ ს მოკლებული არიან. მათი დიდი უმრავლესობა, მოკლებულია რუსულ ენაზე წიგნების კითხვას, რუსულის ცოდნას და ნაწილმა არც-კი იცის არც ერთი... როგორც მცოდნე, ისე არა მცოდნეში გაგიჟებული სურვილი და საჭიროებაა დედა ენაზე კითხვა დასწავლის, მარა დედა ენაზე წიგნება არ მოეპოებათ, მიუხედავთ იმისა, რო ქართველ კატორღელების ენერგიულ მაცადინობით ნება დართულია ციხის ადმინისტრაციის მიერ...

როგორც მათი ყოფა-ცხოვრების მცოდნეს, თიქმის ყოველ კვირეს წარიღები მომდის ნაცნობ მეკობრეებისგან, სხვა და სხვა საკატორლო ციხეებიდან, საიდანც ერთი და იგივე ხვეწნა-მუღირას ვკითხულობ: მთხოვენ ნაცნობ-მეგობრებში და მათი ბედის გულ შემატკივართა შორის, წიგნების და ჟურნალების მოგროვებას და მიწოდებას. სხვათა შორის, ვასულ კვირას, ქორიოლის საკატორლო ციხიდან მივიღე წერილი, სადაც იწერებოდა — „... ამასთანვე გთხოვთ, ყველა იქ მყოფი ქართველები, რომ მიმართოთ ჩვენი სახელით:

ი.-კ- ის, ს. ჯაყელს, ვ. წიგწივაძეს, ა. ფალიანს, ა. ყიფშიძეს და ყველა გულშემატკივრათ, შეგვეწიონ თითო-ორიოლა ქართული წიგნები. წიგნი უნდა იქნეს ადგილობრივ დედლის დაბრალმდებლის მიერ შესაფერისათ შემოწმებული და ციხის ადმინისტრაციის სახელზე გამოგზავნილი, ციხის ბიბლიოთეკისთვის... სხვათა შორის, ჩვენთვის აუცილებელი საჭიროა შემდეგი წიგნები: ისტორია საქართველოსი, ქართული გრამატიკა სილოვანის, სიტყვიერების თეორია, დედა ენა, ბუნების კარი, აკაკის და ილიას ნაწერები, აბაშელის, ქუჩიშვილის და გრიშაშვილის ლექსთა კრებული და ვაჟაფშაველას თხზულებანი...“

შარშანწინ, ვისაც მივმართე, ყველამ დიდი ხალისით შემომწირა წიგნები, თუ ჟურნალები, რაც მაშინვე გავგზავნათ ტუსაღებს. მარა ეს წვეთი იყო ზღვაში...

როგორც გამოცდილებით ვიცი, წიგნების შემოწმებას ბევრი დროის გაცდენა და წვალება ჭირდება და ბევრს ეს არ ენერხება, ეძნელება, ვიდრე შეწირულების გამოღება. ამიტომ, მე ვკისრულობ წიგნების შემოწმებას და მიწოდება-გაგზავნასაც ტუსაღებისთვის...

მივმართავ პატ. საზოგადოებას, შეეწიონ წიგნები და ჟურნალები საკატორლო ციხეების ბიბლიოთეკა-სამკითხველოს და მით დავაკმაყოფილებთ ძმების სულიერ შიმშილს. *) ყოველივე შემოწირულება მიიღება დიდი მადლობით და პრესის საშვალებით გამოქვეყნდება შემომწირველთა სია. მისამართი: чіатури. Аптекарскій магазинъ „модеръ „ Вуадзе. дия Охробетели-каторжанъ.

პ. ონობეთელი.

ს. კ. ვთხოვ, ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

*) ჟურ. „ცხოვრების“ რედაქცია ყოველთვის სიამოვნებით მოგართმევთ ნუმრებს.

მცირე შენიშვნა.

მწერალი, რომელიც წარსულზე წერს რასმე მოგონების, ან კრიტიკის თვალსაზრისით, ვალდებულია ფაქტები სიმართლით ალაპარაკოს და იოტისოდენი სიცრუე არ გაუთიოს შიგ, რომ მკითხველი საზოგადოება შეცთომილი არ შეიყვანოს და რომელიმე პიროვნებას განგებ შეუარაცყოფა არ მიაყენოს.

ბატ. ლ. ლ. ბახტაძეს-კი ისეთი სიცრუე გამოუტყვია თავის მოგონებაში (ილია ბახტაძე — ხონელი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა.

იხილე ჟურნალი „ცხოვრება“. № 4, გვერდი 17.) ნეტარ ხსნებულ გაბრიელ ებისკოპოზზე, რომ არ შემოიძლია ორიოდენ სიტყვით არ აღწიონო მისი უსაფუძვლოება.

„ჯერ კიდევ პეტროგრადში ყოფნის დროს, დაბეჭდა რამდენიმე წერილი სტასულევიჩის გაზეთ „პორიადოკში“, გელათის გაცარცვის შესახებ. ავტორი თხოვლობდა ფიცხელ გამოძიებას. წერილები მკაცრი და გესლიანი კილოთი იყო დაწერილი. ასე, რომ უნებლიეთ მიიპყრეს მთელი საქართველოს ყურათღება.

ეს დრო იყო, როდესაც ამგვარ საგანზე ლაპარაკი დიდ გმირობას და პასუხის გებას მოითხოვდა მწერლისგან. გაბრიელმა ქუთაისისეკლესიის კათედრიდან ვასცა პასუხი წერილების ავტორს. მარა მის პასუხში წყვეა-კრულის მეტი არაფერი იყო წერილების ავტორისადმი. უმთავრეს საგანს-კი ებისკოპოზმა გაბრიელმა მორიდებით გვერდი აუარა თავის სიტყვაში“.

იმ დროს, როდესაც გელათის ნიეთებზე საქმე გახზაურდა, მე გაბრიელის კრებულში ვმსახურობდი. არცერთ წირვის დროს, ეკლესიის კათედრიდან არავითარი სიტყვა არ წარმოუტყვამს გაბრიელს გელათის ნიეთების თაობაზე, მით უმეტეს ილია ხონელზე; ხოლო მორიდებით, რომ არავის ერიდებოდა გაბრიელი თავის სიტყვაში, ეს ყველასთვის ცხადია, ვინც-კი იცნობდა მას, და ვისაც მისი ქადაგბანი მოუსმენია, ან წაუკითხავს.

გაბრიელი ოფიციალური ქალაღლებით, ან გაზეთების საშვალებით აძლევდა ყველას ჯეროვან პასუხს. არა თუ რუსულსა და ქართულ გაზეთებში იბეჭდებოდა მისი პასუხი გელათის ნიეთების შესახებ, არამედ ინგლისურსა და ფრანგულ გაზეთებშიაც-კი გადაიტანეს, როგორც მახსოვს, და რომ ბატონი ლ. ბახტაძე გარჯილიყო და საეპარქიო კანცელარიაში შესულიყო, მოეთხოვა გელათის ნიეთების საქმე, დარწმუნებული ვარ, ზემოთ მოტანილ უსამართლობას ასცდებოდა, რათგან ყოველი საქმე და შავები ქალაღლებისა, გაბრიელის ხელით ნაწერი, ინახება ზემოხსენებულს კანცელარიაში.

ჩვენ საჭიროთ არა ვთვლით გამოგააშკარაოთ ნამდვილი მიზეზი, თუ რათ წერდა ილია ხონელი ასეთ მკაცრ წერილებს გაბრიელის შესახებ, ვინაიდან ჩვენ დიდ პატივსა ვცემთ განსვენებულის საერო მოღვაწეობას და არ გვიწინა ვავისენოთ ზოგიერთი მიწერილი შეცდომა, რომელიც ამ შემთხვევაში მას მოუვიდა. 25 მარტი 1916

დკბ. ი. წერეთელი.

ახალი წიგნი.

რედაქციამ მიიღო პეტროგრადში დასტამბული ახალი წიგნი თავადი ანდრია მ. ერისთავისა: Вопросы Экономической и духовной жизни грузинъ.

ჟურნალის შემდეგ ნუმერში ამ შესანიშნავ წიგნზე ჩვენ ბიბლიოგრაფიას მოვათავსებთ.

„ცხოვრების“ ფოსტა.

ბ — ნს მასწ. L. თქვენი სტატია დაისტამბება, თუ თქვენს სახელს, გვარს და მისამართს გაცნობებთ.

რედაქტ.-გამომცემელი რომანოზ შანცხაძე.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. სტამბა „ძობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარქოვისა.

1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათებიანი ჟურნალი იუზმორისტული განყოფილებით, შარუებით და კარიკატურებით

წელიწადი
მეოთხე

„თეატრი და ცხოვრება“

წელიწადი გამომცემისა მეოთხე

1916 წელსაც გამოვა

წლიურად
5 მან.
ნახ. წლ.
3 მან.

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეტილ და ახალ-გაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით — 3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს — 2 მ. მაისში — 2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახალს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით:

Тифлитъ. ред. „Театри да Чхovreба“ — Иос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა.

ამიერიდან პ. ჟუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი — 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოდ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოციელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგზავობთა რიცხვის გამრავლებაზე.

გთხოვთ ომში დაქრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი პორტრეტები.

გთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ პორტრეტები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ი. თ. წინცაძე.